№30(31) 2.08.1991

# სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენეჯერთა კავშირი

## ნომერში:

**ნაგოია ოგავა ძიუდოს გენია**

ქართველ ძიუდოისტთა მედლების ორი მხარე

მე-2 გვერდი

**მან კარპოვს აჯობა**

კაცი, რომელსაც კასპაროვის პოტენციურ მეტოქედ თვლიან

მე-4 გვერდი

**როგორც ქუხს, ისე არა წვიმს...**



მოეკიდა რკინას ჟანგი?

მე-5 გვერდი

**უილიამსი მაღარიბს კისრულობს**

ჩვენი არ იყოს, სენასაც ბენზინი გასჭირვებია

მე-6 გვერდი

## პირველი ჯგუფი — სტატუს-კვო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის ბოლო სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა სპორტისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილე ჯანო ბაგრატიონი აღინიშნა, რომ ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურ კომისიას მართებს წესრიგის დამრღვევთა მიმართ სანქციების გამკაცრება და ზოგ შემთხვევაში გუნდების შეჯიბრებიდან მოხსნა. პრეზიდიუმის წევრებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ საჭიროა გუნდების რაოდენობის თანდათანობითი შემცირება, ოღონდ ეს გადაწყვეტილება უმაღლეს და პირველ ჯგუფს ჯერჯერობით (ფიფა-ში გაწევრიანებამდე) არ შეეხება. როგორც ცნობილია, მეორე ჯგუფის ოთხი ქვეჯგუფის ბოლო ხუთეულებს ზონალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ორ გუნდთან ერთად უნდა შეექმნა მეხუთე ქვეჯგუფი. ვინაიდან ფინანსური სიძნელეების გამო ბევრმა გუნდმა არსებობა შეწყვიტა, გადაწყდა მეოთხე და მეხუთე ქვეჯგუფების გაერთიანება. აქ თავმოყრილი 25 გუნდი თავის მხრივ გაიყოფა ორ, აღმოსავლეთის და დასავლეთის ჯგუფებად, შესაბამისად 12 და 13 გუნდით.



საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ინგლისის ნახევრადპროფესიული კლუბი „გლოსტერ სიტი" (დაარსდა 1888 წელს). იგი სამოყვარულო სამხრეთ ლიგის ერთ-ერთი წამყვანი გუნდია. „გლოსტერის" ფეხბურთელთა საშუალო ხელფასია კვირაში 100 გირვანქა სტერლინგი. ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი წელიწადში იღებს 30000 გირვანქა სტერლინგს. საქართველოში „გლოსტერ სიტიმ" დაამარცხა „ნაფარეული" 2:1 და ახალციხის „მესხეთი" 2:0. მათი შეხვედრა უმაღლესი ჩგუფის გუნდ „შევარდენი-90"-თან დამთავრდა ფრედ 2:2.

ჩვენი კორესპონდენტის გია ახალაძის ფოტოებზე ინგლისელ სტუმართა ბოლო მატჩის მომენტებია აღბეჭდილი.

ინგლისელთა საქართველოში სტუმრობის ორგანიზატორი გახლდათ დიდ ბრიტანეთში მცხოვრები ჩვენი ყოფილი თანამემამულე, ახალციხელი ებრაელი შარლ პიტიმსონი.



## ფედერაცია მთელი შემადგენლობით

თავისუფალი ჭიდაობის ფედერაციის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. ამ ორი თვის წინ იგი მოღვაწეობის დამოუკიდებელ გზას დაადგა. მაშინ აირჩიეს ფედერაციის პრეზიდენტიც — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მურმან ომანიძე. ამ დღეებში საბოლოოდ დაზუსტდა ფედერაციის ხელმძღვანელობა. თანაპრეზიდენტად არჩეულია ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლევან თედიაშვილი, ვიცე-პრეზიდენტად — ვლადიმერ იაშვილი, გენერალურ მდივნად — ვაჟა იმერლიშვილი. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის არჩევნები არ ჩატარებულა, ამ ფუნქციებს კვლავ ვლადიმერ მესტვირიშვილი შეასრულებს, რომელიც ბოლო წლებში ხელმძღვანელობდა გუნდის მომზადებას.

— ფედერაცია მუშაობას შეუდგა, — ამბობს ვაჟა იმერლიშვილი. — ვფიქრობ, ყველასათვის ნათელია, რომ ქართული სპორტის ამჟამინდელი ვითარების გათვალისწინებით ახლა მთავარია არ დავკარგოთ ჩვენი ნიჭიერი ათლეტები, ვეძებოთ და განვავითაროთ საერთაშორისო კონტაქტები, მივაღწიოთ ჩვენი ფედერაციის აღიარებას შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. საზღვარგარეთ ჭიდაობის ქართულ სკოლას დიდი სახელი აქვს და ეს აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. თუმცა, ცხადია, გვესმის, რომ ამ გზაზე ბევრ სირთულეს წავაწყდებით.

— ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი მურმან ომანიძე მხარს უჭერს ამ მიმართულებით გადადგმულ ყოველ ნაბიჯს. იგი თავადაც ყოფილი მოჭიდავეა და შესანიშნავად იცნობს ჩვენს პრობლემებს, იცის, რა გვჭირდება, — საუბარში ჩაერთო ვლადიმერ იაშვილი — საქმეს უთუოდ სარგებლობას მოუტანს ლევან თედიაშვილის მონდომება, მისი დიდი გამოცდილება და ავტორიტეტი. ბატონ ლევანს მთელი სპორტის სამყარო პატივს სცემს. იგი ახლოს იცნობს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს მილან ერცეგანს. სხვათა შორის, ბატონი ერცეგანი დიდი სიმპატიით ეკიდება ჩვენს მოჭიდავეებს, აფასებს მათს წვლილს მსოფლიო სპორტის განვითარებაში. იმედი გვაქვს ყოველივე ეს, ერთად აღებული, დაგვეხმარება საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებლად გასვლაში.

შეგახსენებთ, რომ ამას წინათ საქართველოს ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო კანადის თასის გათამაშებაში. ჩვენს სპორტსმენებს კიდევ ბევრი საინტერესო ტურნირი ელით.



## მარადონა ინანიებს?

დიეგო მარადონა ვარჯიშს შეუდგა!

იგი ახლა ბუენოს-აირესის „ბოკა ხუნიორსის" შემადგენლობაში ემზადება ახალი სეზონისთვის. მარადონამ ყველაფრისთვის ბოდიში მოუხადა თავის თაყვანისმცემლებს და განაცხადა, რომ შეეცდება თავისი თამაშით მათ კიდევ არაერთი სიხარული მიანიჭოს, რითაც ნაწილობრივ მაინც გამოისყიდის დანაშაულს.

გულშემატკივარი მიმტევებელია, მაგრამ მარადონა კი არის სიტყვის პატრონი?

## მეორე ადგილი — 300 მარკა

რიგაში ჩატარდა პირველი საერთაშორისო მარათონი, რომელშიც ათზე მეტი ქვეყნის ცხრაასამდე მორბენალი ქალი და ვაჟი გამოვიდა. სტარტიდან 2 საათის შემდეგ 28 წუთისა და 27 წამის შემდეგ „დაუგავას" სტადიონზე ფინიშის ხაზი პირველმა ვლადიმერ კალენკოვიჩმა გადაკვეთა. ამ ბელორუს სპორტსმენს 29 წამით ჩამორჩა ჩვენი თანამემამულე ვალერი გედევანიშვილი. მესამე ადგილი რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა ვალერი მაშოშინმა დაიკავა (2:29.17).

ქალთა შორის პირველი ასევე ბელორუსი მორბენალი ალა დუდაევა იყო (2:43.53), მეორე ადგილი ნადეჟდა შარანოვამ (რუსეთის ფედერაცია — 2:47.03) დაიკავა, მესამე კი — მოლდოველმა ვიორიკე ენაკიმ (2:55.33).

პრიზიორმა ქალებმაც და ვაჟებმაც ჯილდოდ შესაბამისად 500, 300 და 200 გერმანული მარკა მიიღეს.

## კომისია ასკვნის: საჭიროა რადიკალური ზომები

სპეციალური ათკაციანი კომისიის ორი წევრი, ანატოლი ნორაკიძე და ალექსანდრე ჩივაძე, არ დაეთანხმა რვაგვერდიან დასკვნას, რომელიც ასე მთავრდება: „კომისიას გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია სამთავრობო დადგენილების მიღება რესპუბლიკაში ფეხბურთის შემდგომი განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ".

სპეციალურ კომისიას, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ბრძანებით „ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მსვლელობაში შექმნილი ვითარების და საჩივრების განსახილველად" შეიქმნა, მიაჩნია, რომ „დღევანდელ ქართულ ფეხბურთში შეიქმნა მეტად საგანგაშო მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს დაინტერესებული ორგანიზაციების საერთო ძალისხმევას და არსებული სიტუაციის მკვეთრ გამოსწორებას". როგორც ირკვევა, კომისიას მრავლად დაუგროვდა მასობრივი მუშტი-კრივის, ზღვარგადასული თავაშვებულობის, ცინიზმის, 'აღებ-მიცემობის, წინასწარ მოლაპარაკებული თამაშების, სისხლის სამართლის კანონთა იგნორირების ფაქტები, თუმცა დასკვნაში კონკრეტული მაგალითები მოტანილი არ არის. კომისიის აზრით, „ეს ყოველივე საგამომძიებლო ორგანოების კომპეტენციაა".

ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა კომისია ვითარების ზოგადი კონსტატაციით არ შემოფარგლულიყო, მეტი ყურადღებით მოკიდებოდა ფეხბურთში ნეგატიურ მოვლენათა გამომწვევი მიზეზების ანალიზს, ამის საფუძველზე კი მათი დაძლევის გზებიც მოენიშნა. პრობლემა, ეჭვგარეშეა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. ფეხბურთი სოციალური მოვლენაა ეკონომიკასთან, კულტურასთან, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ატმოსფეროსთან ათასი ძაფით დაკავშირებული. ამიტომაც, ჩემპიონატის ორგანიზატორებთან, მსაჯებთან, მწვრთნელებთან და თვით ფეხბურთელებთან ერთად პასუხისმგებლობის ტვირთი ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა, სამართალდამცავმა ორგანოებმა, მაყურებლებმაც უნდა გაინაწილონ.

კომისია ასკვნის, რომ „მოხდა ფეხბურთის დონის ნიველირება წამყვან ფეხბურთელთა ოსტატობის დაქვეითების ხარჯზე. დამფუძნებელი ყრილობის შემდეგ ალბათ დიდი შეცდომა იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შტატების თითქმის მთლიანად ძველი საფეხბურთო მმართველი აპარატის წევრებით დაკომპლექტება, რომელმაც ვერ უზრუნველყო ფედერაციის წესდების პრაქტიკული რეალიზაცია... არ იგრძნობა პოზიტიური ძვრები კორუფციის, პროტექციონიზმისა და სხვა მანკიერებათა აღმოსაფხვრელად". კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ჯგუფის შემადგენლობა 14 გუნდით უნდა შემოიფარგლოს, პირველი ჯგუფისა — 16-18 გუნდით, დანარჩენებისა კი 20-ს არ უნდა აღემატებოდეს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდების თანახმად, ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ფედერაციის პრეზიდიუმის კომპეტენციაა. საერთოდ, ამავე წესდებით, რომელიც დამფუძნებელმა ყრილობამ 1990 წლის 15 თებერვალს დაამტკიცა, საქართველოში ფეხბურთის საქმეებს სწორედ ფედერაცია წარმართავს და აკონტროლებს. რაც შეეხება ფეხბურთის ფედერაციისა და სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ურთიერთდამოკიდებულებას, ეს საკითხი იურიდიულად ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული. როგორც ჩანს, კომისია პანაცეას მოსალოდნელ სამთავრობო დადგენილებაში ხედავს და მისი მიღება „გადაუდებელ აუცილებლობად მიაჩნია".

# ძიუდოისტთა ოლიმპიადისწინა ჩემპიონატი

ძიუდოს ფუძემდებლებმა, იაპონელმა სპორტსმენებმა თავისი მაღალი ავტორიტეტი დაამტკიცეს მსოფლიო ჩემპიონატზე ბარსელონაში. ისინი, რვა წონითი კატეგორიიდან ოთხში პირველები იყვნენ. გარდა ამისა, მათ აქტივშია ერთი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი.

ვაჟთა მეჩვიდმეტე ჩემპიონატმა „ბლაუგრანას" სპორტის სასახლის ტატამზე (აქ გაისად ძიუდოისტთა ოლიმპიური ტურნირი გაიმართება) თავი მოუყარა 51 ქვეყნის წარმომადგენელს, რომელთაც ვერ შეძლეს იაპონელთა პოზიციის შერყევა. მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ ტოდახირო კოსინო (60 კგ), ტოსიხიკო კოგა (71 კგ), ხიროტაგა ოკადა (86 კგ) და ნაგოია ოგავა (აბსოლუტური პირველობა). კოგა და ოკადა მეორედ ავიდნენ მსოფლიო ჩემპიონატის უმაღლეს საფეხურზე, ხოლო ოგავამ უძლიერესის ტიტული მეოთხედ მოიპოვა. სპეციალისტების აზრით ამ ათლეტმა ხელიდან გაუშვა კიდევ ერთი უმაღლესი ჯილდო. მას უწინასწარმეტყველებდნენ წარმატებას 95 კილოგრამზე ზევით წონით კატეგორიაში, მაგრამ ნახევარფინალურ ორთაბრძოლაში მან მოულოდნელად წააგო სერგეი კოსოროტოვთან (სსრკ) და „ბრინჯაოს" დასჯერდა.

ოგავას, ამ 130 კილოგრამიან გოლიათს, ქართველი ძიუდოს მოყვარულები კარგად იცნობენ. იგი იყო 1988 წელს თბილისის სპორტის სასახლეში გამართული მსოფლიო უნივერსიადის გამარჯვებულთა შორის. მას შემდეგ იაპონელი ათლეტი ითვლება მსოფლიოს მძიმეწონოსანთა აშკარა ლიდერად და ამდენად მისი მარცხი საბჭოთა ძიუდოისტთან ბარსელონის ჩემპიონატის უდიდეს სენსაციად იქცა. ოგავამ მაინც დაიცვა საკუთარი რეპუტაცია და აბსოლუტურ პირველობაში რევანში აიღო. ფინალში მისი მოწინააღმდეგე იყო მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტი, 20 წლის ქუთაისელი დავით ხახალეიშვილი, რომელმაც, სპეციალისტთა აზრით, ბოლო წლებში საგრძნობლად აიმაღლა ოსტატობა. მაგრამ გამოცდილმა ოგავამ დამაჯერებლად ჩაატარა ორთაბრძოლა და წმინდა გამარჯვება მოიპოვა. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ათლეტისათვის „ვერცხლი" პრესტიჟული ჯილდოა.

დანარჩენ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ ფრანგი სტეფან ტრენო (95 კგ) და გერმანელები დანიელ ლასკუა (78 კგ) და უვე კველმალცი (65 კგ). აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა სოხუმელი ვლადიმერ დგებუაძე (71 კგ).

უდავოა, რომ ქართველმა სპორტსმენებმა წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ მათ ჯილდოებს მომწარო გემო დასდევს. ცნობილია, თუ როგორ მოხვდნენ ისინი სსრკ ნაკრებში, მაშინ, როდესაც საქართველოს ყველა სპორტსმენმა საბჭოთა დროშის ქვეშ საერთაშორისო შეჯიბრებებში გამოსვლაზე. კარგა ხანია უარი განაცხადა. თუმცა, ეს ფაქტი ცალკე განხილვის საგანია.

შალვა მიხელიძე



# მიზანი: კრიზისიდან თავის დაღწევა



ქართული კალათბურთის სავალალო მდგომარეობა კარგად არის ცნობილი სპორტის მოყვარულთათვის. ჩვენი სპორტის საკავშირო სტრუქტურებიდან გამოსვლის შემდეგ, ჩვენ არ გავმხდარვართ არცერთი მეტ-ნაკლებად საინტერესო საკალათბურთო მოვლენის მოწმე. რა კეთდება მდგომარეობის გამოსასწორებლად? გთავაზობთ ინტერვიუს ახლადშექმნილი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტთან, ბატონ როლანდ ხომერიკთან:

**— ბატონო როლანდ, ცნობილია, რომ შეიქმნა საქართველოს კალათბურთის ფედერაცია. ორიოდე სიტყვა ამის შესახებ.**

— ფედერაციის პრეზიდენტად არჩეულია ბატონი ალექსანდრე ჩხეიძე, საქართველოს ტრანსპორტის მინისტრი. ვიცე-პრეზიდენტად — როლანდ ხომერიკი, ხოლო გენერალურ მდივნად — აკაკი მეგრელაძე. სულ პრეზიდიუმში შევიდა 23 კაცი. მათ შორის არიან ცნობილი სპორტსმენები: ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია, გურამ მინაშვილი, ლევან მოსეშვილი, ასევე აფხაზეთის, აჭარისა და ქუთაისის წარმომადგენლები. უკვე ჩატარდა პირველი სხდომაც, განაწილდა ფუნქციები, შეიქმნა სხვადასხვა კომისია, მაგალითად: მსაჯთა კოლეგიის, სტუდენტური კალათბურთის და სხვა.

**— ჩვენი კალათბურთის კრიზისის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი კალათბურთელების საზღვარგარეთ გაგზავნას. ცნობილია, რომ კახაბერ შენგელია და გია სანაძე იყვნენ თურქეთში და ახლახან დაბრუნდნენ. როგორ გაიარა მათმა სტაჟირებამ?**

— დიახ, ჩვენ გვქონდა კონტაქტები სტამბულის „გალათასარაისთან", სადაც გავაგზავნეთ ცენტრალური თავდამსხმელი კახაბერ შენგელია და გია სანაძე. უნდა ითქვას, რომ თურქული კლუბის ხელმძღვანელობა უფრო ცენტრალური თავდამსხმელით იყო დაინტერესებული. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ თურქეთში ამ ამპლუაში ძირითადად ამერიკელი შავკანიანი კალათბურთელები თამაშობენ, რომელთა მომზადების დონე ძალიან მაღალია. მართალია „გალათასარაის" პასუხი ჯერ არ მიგვიღია, მაგრამ არაოფიციალური წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ კონტრაქტი ალბათ არ შედგება.

**— მე მგონი, სულ სხვა სიტუაციაა საბერძნეთში, სადაც წასული არიან კალათბურთელი მურაჩტოვი და მწვრთნელი ვაჟა ქილიტაური.**

— უნდა მოგახსენოთ, რომ არც აქ არის ყველაფერი კარგად. საქმე ისაა, რომ მურაიტოვი კონტრაქტით არის წასული საბერძნეთის კლუბ „არისში". მაგრამ, როგორც ჩვენ შევიტყვეთ, საბერძნეთის მხარე არ ასრულებს მოლაპარაკების პირობებს. კერძოდ, არ იხდიან ლიცენზიის ფულს.

**— უკაცრავად, ბატონო როლანდ, თუ საიდუმლო არ არის, რა თანხაზეა ლაპარაკი?**

— თანხის დასახელება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, მით უმეტეს, რომ ამ სიტუაციაში დღესაც გაურკვევლობაა. ერთს კი ვიტყვი, რომ საქართველოსაც უნდა მიეღო გარკვეული თანხა. ყველაფერი კი იმიტომ აირია, რომ „არისში" შეიცვალა ხელმძღვანელობა. კლუბის ახალი პატრონები უარს აცხადებენ იმ თანხის გადახდაზე, რომელიც პირველ კონტრაქტშია მითითებული. ალბათ მურაიტოვი მიმართავს ადვოკატს და „არისის" წინააღმდეგ საქმეს აღძრავს სასამართლოში. სხვათა შორის ანალოგიური სიტუაციაა ვაჟა ქილიტაურის შემთხვევაშიც, რომელსაც უნდა ემუშავა „არისის" ბავშვთა გუნდში.

**— რა ბედი ეწია რესპუბლიკის პირველ გუნდს თბილისის „დინამოს"?**

— ეს გუნდი ძველი შემადგენლობით და ლევან მოსეშვილის ხელმძღვანელობით ემზადება საქართველოს პირველობისთვის. ამ დღეებში გუნდი დაბა ლესელიძეში მიემგზავრება საწვრთნელ შეკრებაზე.

**— აქვს თუ არა საქართველოს კალათბურთის ფედერაციას რაიმე ურთიერთობა საკავშირო ფედერაციასთან?**

— საუბედუროდ მათთან კავშირის გაწყვეტა ჯერ შეუძლებელია. სანამ ჩვენ არ გავხდებით საერთაშორისო კალათბურთის ასოციაციის სრულუფლებიანი წევრები, ყველა საკითხი საკავშირო ფედერაციის გავლით უნდა გადავწყვიტოთ. მაგრამ, რა თქმა უნდა, მათგან მნიშვნელოვან დახმარებას არ უნდა ველოდეთ. ერთი კია, შემოგვთავაზეს საკავშირო ღია პირველობაზე თამაში, მხოლოდ პირველ ლიგაში. ამაზე იყო კამათი კალათბურთის ფედერაციის პირველ სხდომაზე. მე წამოვაყენე წინადადება, რომ ჩვენს გუნდს, თუნდაც სპარინგის მიზნით მაინც, მიეღო მონაწილეობა საკავშირო პირველობაში. ყველა დამეთანხმა და მაინც, ალბათ, ჩვენი გუნდი არ გამოვა ამ ასპარეზობაში.

**— ჩვენ უარვყავით ეს წინადადებაც. აბა როგორ უნდა დავაღწიოთ თავი თვითიზოლაციას?**

— არის გარკვეული მოლაპარაკება უკრაინის კალათბურთის ფედერაციასთან. ისინიც ცდილობენ გამოეყონ საკავშირო ფედერაციას და შემდეგ განზრახული გვაქვს ჩვენ, უკრაინამ, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა, აგრეთვე, ალბათ, ავსტრიამ და პოლონეთმა, ჩავატაროთ საერთაშორისო ტურნირები. მაგრამ კონკრეტული ჯერ არაფერი ჩანს.

**— ახლა რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს. როდის და როგორი სისტემით არის დაგეგმილი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება?**

— გვინდა ეროვნული ჩემპიონატი დავიწყოთ სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების დამთავრების შემდეგ, ოქტომბრის ბოლოს. რაც შეეხება ჩატარების სისტემას, ამაზე მიდის დავა, ვინაიდან მარტო თბილისიდან, მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ათმა გუნდმა, ჩვენ კი არ გვინდა ეს პირველობა თბილისის ჩემპიონატს დაემსგავსოს.

მაგრამ, ჩვენ მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ.

დიმიტრი ობოლაძე



# წინ არაერთი გამოცდაა

მოხდა ისე, რომ შაში (ეს ტენდენცია არც საქართველოს ასცდა) „უფროსი ძმის" — ჭადრაკის ჩრდილში მოექცა. ჭადრაკის ქართულმა სკოლამ მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი, მოშაშეები კი თითქოს იცდიდნენ... და აი, სპეციალისტების აზრით, ახლა მიეცათ საშუალება ბედი სცადონ...

მარტო ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე თბილისელმა მოშაშემ, „შევარდენის" წევრმა, სპორტის ოსტატმა ჯუმბერ ბერიშვილმა სამ საერთაშორისო ტურნირში ითამაშა და სამივეში წარმატება მოიპოვა.

ჯერ ბალტიისპირეთში, სადაც ტურნირმა „ქარვის პალანგამ" ჰოლანდიის, პოლონეთის, იუგოსლავიის, მონღოლეთის 60-ზე მეტ სპორტსმენს მოუყარა თავი, ბერიშვილმა II-VI ადგილები გაიყო (კოეფიციენტით, საუკეთესოთა ექვსეულის ჩამკეტია). შემდეგ — პეტროპავლოვსკი, ტურნირი „კიზილ-ჟარი". საფრანგეთის, მონღოლეთის, აზიის, საქართველოს, ყაზახეთის 26 მოშაშე და... I ადგილი!

ჯუმბერი ახლახან დაბრუნდა შეჯიბრებიდან „მინსკის პრიზი-91". შეჯიბრებაში მონაწილეობდა სამოცდაათზე მეტი მოშაშე, მათ შორის ჰოლანდიიდან, საფრანგეთიდან, ბელგიიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან, იუგოსლავიიდან. უმეტესობა საერთაშორისო ოსტატები და სპორტის ოსტატები. ბერიშვილმა 9 პარტია ითამაშა, 4 მოიგო, 5 ყაიმით დაამთავრა, საბოლოოდ 6,5 ქულა მოაგროვა და ბრინჯაოს მედალი მიიღო. პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს სპორტის ოსტატმა, მინსკელმა მოსევიჩმა და ხარკოველმა საერთაშორისო ოსტატმა კოლესნიკმა, რომლებმაც ნახევარი ქულით მეტი დააგროვეს.

რესპუბლიკის სპორტის ხელმძღვანელთა ცნობილი გადაწყვეტილების მერე ჯუმბერი საკავშირო ტურნირებში არ თამაშობს, მხოლოდ საერთაშორისო შეჯიბრებებში გამოდის. მიუხედავად ამისა, მისი კლასი არ იცვლ. ბა: ბერიშვილის რეიტინგი ძალიან მაღალია (2594). ახლა მას ერთი ბალი სჭირდება, რომ საერთაშორისო ოსტატის ნორმა შეასრულოს. ამ წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის მის მწვრთნელს თენგიზ რეხვიაშვილს.

ალბათ მკითხველისთვის საინტერესო იქნება იმის აღნიშვნაც, რომ ჯუმბერ ბერიშვილი თავის დროზე მსოფლიო ჩემპიონი გახლდათ იუნიორთა შორის გუნდურ ჩათვლაში (იყო სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანი), პირადში კი — III საპრიზო ადგილი ხვდა.

ახლა ჯუმბერი ცოტას დაისვენებს, ახალი სასწავლო წლისთვის მოემზადება, იგი აგრარული უნივერსიტეტის მეხუთეკურსელი სტუდენტია. მერე კი ქართველი შაშის ამომავალ ვარსკვლავს ახალი გამოცდები ელის. ეს არის რესპუბლიკის ჩემპიონატი, რომელიც სექტემბერში გაიმართება და რომლის ჩატარებასაც ჩვენი შაშის ფედერაცია სანიმუშოდ აპირებს, აგრეთვე საერთაშორისო ტურნირი მონღოლეთში, ოქტომბრის თვეში...

მიხაილ ვიგნანსკი



# მთავარი სტარტი 18 აგვისტოს







თბილისის იპოდრომზე გრძელდება ცხენთგამოცდის სეზონი. სხვადასხვა მიზეზთა გამო შეჯიბრებები წინა წლებთან შედარებით იშვიათად — ორ კვირაში ერთხელ ეწყობა. ამასთან, ასპაოეზობას აშკარად ეტყობა მაღალი კლასის ცხენმხედრის ნაკლებობა. ეს კი, ცხადია, პირდაპირ გავლენას ახდენს მაყურებელთა რაოდენობაზე.

და მაინც, სპეციალისტებიცა და იპოდრომის თანამშრომლებიც 18 აგვისტოს იმედით არიან. ამ დღეს ჩატარდება წლის მთავარი, ყველაზე საპრესტიჟო შეჯიბრება — დერბი. გაცილებით ძლიერი იქნება მონაწილეთა შემადგენლობაც.

ამ ულამაზესი სანახაობის მოყვარულები, ალბათ, მრავლად მიაშურებენ იპოდრომს — ვინ უბრალოდ, გასართობად, ზოგი ბავშვების ჰაერზე გასაყვანად. ზოგი კი ტოტალიზატორში მოგების იმედით. ერთი კია — იპოდრომის ხელმძღვანელობას მომსვლელთა, განსაკუთრებით ბავშვების მიმართ მეტი ყურადღების გამოჩენა მართებს, რათა პაპანაქება სიცხეში მათთვის ერთი პატარა ბუფეტი მაინც მოეწყოს.

ეს ფოტოები კი თბილისში გამართული ბოლო დოღის ფრაგმენტებს ასახავს. გათამაშდა 6 პრიზი სხვადასხვა დისტანციაზე.

გია ახალაძის ტექსტი და ფოტოები.

## მესამე ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# კალენდარი

## 1991-1992 სეზონი

## პირველი წრე

I ტური
15 აგვისტო
იბერია (თბილისი) — მრეტები (თბილისი)
გურია (ლანჩხუთი) — ამირანი (ოჩამჩირე)
ქუთაისი (ქუთაისი) — სანავარდო (სამტრედია)
კოლხეთი-13 (ფოთი) — სულორი (ვანი)
ბათუმი (ბათუმი) — შევარდენი (თბილისი)
ოდიში (ზუგდიდი) — მზიური (გალი)
მარგვეთი (ზესტაფონი) — მერცხალი (ოზურგეთი)
გორდა (რუსთავი) — დილა (გორი)
ალაზანი (გურჯაანი) — სამგურალი (წყალტუბო)
17 აგვისტო
ცხუმი (სოხუმი) — კოლხეთი (ხობი)

II ტური
19 აგვისტო
სამგურალი — მრეტები
დილა — ალაზანი
მერცხალი — გორდა
მზიური — მარგვეთი
სულორი — ბათუმი
სანავარდო — კოლხეთი-13
ამირანი — ქუთაისი
20 აგვისტო
იბერია — გურია
21 აგვისტო
კოლხეთი — ოდიში
შევარდენი — ცხუმი

III ტური
26 აგვისტო
მრეტები — გურია
ქუთაისი — იბერია
კოლხეთი-13 — ამირანი
ბათუმი — სანავარდო
მარგვეთი — კოლხეთი
ცხუმი — სულორი
ოდიში — შევარდენი
გორდა — მზიური
ალაზანი — მერცხალი
სამგურალი — დილა

IV ტური
30 აგვისტო
დილა — მრეტები
მერცხალი — სამგურალი
მზიური — ალაზანი
კოლხეთი — გორდა
შევარდენი — მარგვეთი
სულორი — ოდიში
სანავარდო — ცხუმი
ამირანი — ბათუმი
იბერია — კოლხეთი-13
გურია — ქუთაისი

V ტური
7 სექტემბერი
მრეტები — ქუთაისი
კოლხეთი-13 — გურია
ბათუმი — იბერია
ცხუმი — ამირანი
ოდიში — სანავარდო
მარგვეთი — სულორი
გორდა — შევარდენი
ალაზანი — კოლხეთი
სამგურალი — მზიური
დილა — მერცხალი

VI ტური
11 სექტემბერი
მერცხალი — მრეტები
მზიური — დილა
კოლხეთი — სამგურალი
შევარდენი — ალაზანი
სულორი — გორდა
სანავარდო — მარგვეთი
ამირანი — ოდიში
გურია — ბათუმი
ქუთაისი — კოლხეთი-13
12 სექტემბერი
იბერია — ცხუმი

VII ტური
16 სექტემბერი
ბათუმი — ქუთაისი
17 სექტემბერი
მრეტები — კოლხეთი-13
ცხუმი — გურია
ოდიში — იბერია
მარგვეთი — ამირანი
გორდა — სანავარდო
ალაზანი — სულორი
სამგურალი — შევარდენი
დილა — კოლხეთი
მერცხალი — მზიური

VIII ტური
21 სექტემბერი
შევარდენი — დილა
კოლხეთი-13 — ბათუმი
22 სექტემბერი
მზიური — მრეტები
კოლხეთი — მერცხალი
სულორი — სამგურალი
სანავარდო — ალაზანი
ამირანი — გორდა
იბერია — მარგვეთი
გურია — ოდიში
ქუთაისი — ცხუმი

IX ტური
29 სექტემბერი
ცხუმი — კოლხეთი-13
30 სექტემბერი
მრეტები — ბათუმი
ოდიში — ქუთაისი
მარგვეთი — გურია
გორდა — იბერია
ალაზანი — ამირანი
სამგურალი — სანავარდო
დილა — სულორი
მერცხალი — შევარდენი
მზიური — კოლხეთი

X ტური
4 ოქტომბერი
კოლხეთი — მრეტები
შევარდენი — მზიური
სულორი — მერცხალი
სანავარდო — დილა
ამირანი — სამგურალი
გურია — გორდა
ქუთაისი — მარგვეთი
კოლხეთი-13 — ოდიში
ბათუმი — ცხუმი
5 ოქტომბერი
იბერია — ალაზანი

XI ტური
11 ოქტომბერი
ცხუმი — მრეტები
ოდიში — ბათუმი
მარგვეთი — კოლხეთი-13
გორდა — ქუთაისი
ალაზანი — გურია
სამგურალი — იბერია
დილა — ამირანი
მერცხალი — სანავარდო
მზიური — სულორი
შევარდენი — კოლხეთი

XII ტური
19 ოქტომბერი
შევარდენი — მრეტები
სულორი — კოლხეთი
სანავარდო — მზიური
ამირანი — მერცხალი
გურია — სამგურალი
ქუთაისი — ალაზანი
კოლხეთი-13 — გორდა
ბათუმი — მარგვეთი
ოდიში — ცხუმი
20 ოქტომბერი
იბერია — დილა

XIII ტური
24 ოქტომბერი
მრეტები — ოდიში
მარგვეთი — ცხუმი
გორდა — ბათუმი
ალაზანი — კოლხეთი-13
სამგურალი — ქუთაისი
მზიური — ამირანი
კოლხეთი — სანავარდო
შევარდენი — სულორი
დილა — გურია
მერცხალი — იბერია

XIV ტური
30 ოქტომბერი
სულორი — მრეტები
სანავარდო — შევარდენი
ამირანი — კოლხეთი
იბერია — მზიური
გურია — მერცხალი
ქუთაისი — დილა
კოლხეთი-13 — სამგურალი
ბათუმი — ალაზანი
ცხუმი — გორდა
ოდიში — მარგვეთი

XV ტური
3 ნოემბერი
მრეტები — მარგვეთი
გორდა — ოდიში
ალაზანი — ცხუმი
სამგურალი — ბათუმი
დილა — კოლხეთი-13
მერცხალი — ქუთაისი
მზიური — გურია
კოლხეთი — იბერია
შევარდენი — ამირანი
სულორი — სანავარდო

XVI ტური
11 ნოემბერი
სანავარდო — მრეტები
ამირანი — სულორი
იბერია — შევარდენი
გურია — კოლხეთი
ქუთაისი — მზიური
კოლხეთი-13 — მერცხალი
ბათუმი — დილა
ცხუმი — სამგურალი
ოდიში — ალაზანი
მარგვეთი — გორდა

XVII ტური
15 ნოემბერი
ალაზანი — მარგვეთი
სამგურალი — ოდიში
დილა — ცხუმი
მერცხალი — ბათუმი
მზიური — კოლხეთი-13
კოლხეთი — ქუთაისი
შევარდენი — გურია
სულორი — იბერია
სანავარდო — ამირანი
16 ნოემბერი
მრეტები — გორდა

XVIII ტური
22 ნოემბერი
ამირანი — მრეტები
იბერია — სანავარდო
გურია — სულორი
ქუთაისი — შევარდენი
კოლხეთი-13 — კოლხეთი
ბათუმი — მზიური
ცხუმი — მერცხალი
ოდიში — დილა
მარგვეთი — სამგურალი
გორდა — ალაზანი

XIX ტური
26 ნოემბერი
სამგურალი — გორდა
დილა — მარგვეთი
მერცხალი — ოდიში
მზიური — ცხუმი
კოლხეთი — ბათუმი
შევარდენი — კოლხეთი-13
სულორი — ქუთაისი
სანავარდო — გურია
ამირანი — იბერია
27 ნოემბერი
მრეტები — ალაზანი

# იდეა სამსჯავროზე

მსოფლიო ფეხბურთში გარკვეული კრიზისის პერიოდი რომ დგას, ამას ყველაზე ნათლად ის ადასტურებს, რომ საერთაშორისო ფეხბურთის არაერთი მესვეური სერიოზულად ფიქრობს ფეხბურთის წესებში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე. ესაა კარებების ზომების გადიდება, ორი მთავარი მსაჯით მატჩის წაყვანა, ოთხ საფეხბურთო ტაიმზე გადასვლა... ცვლილებებს კი კარგად აწყობილი საქმე არ იწვევს.

ჩვენთვის დამატებით სიძნელეებს ქმნის ის ფაქტი რომ ქართული ფეხბურთი ჯერ არ უცვნიათ ფიფა-ს და უეფა-ს, რის გამოც მას საკუთარ წვენში უხდება ხარშვა. ე.ი. ჩვენ ორმხრივი სიძნელის წინაშე ვდგავართ. ყოველივე ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ დამესაბუთებინა: ვიდრე საერთაშორისო ფედერაციები გვცნობენ აუცილებელია რაღაც მნიშვნელოვანი ცვლილებები ჩვენს ფეხბურთშიც მოხდეს, რითაც: ერთის მხრივ არ ჩამოვრჩებით დროს და ფეხს ავუწყობთ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და მეორეს მხრივ კი, სავსებით შესაძლებელია, თუ ყველაფერს კარგად გავიაზრებთ, სხვათა ყურადღების ცენტრშიც კი აღმოვჩნდეთ.

რას გთავაზობთ მე: ერთი მხრივ ერთმანეთისგან გაირჩეს გამარჯვების ორი სახე — გამარჯვება სამი ან მეტი ბურთის სხვაობით (აშკარა გამარჯვება) და გამარჯვება სამზე ნაკლები ბურთის სხვაობით (გამარჯვება), მეორე მხრივ კი დამარცხების ორი სახე — დამარცხება სამზე ნაკლები ბურთის სხვაობით (დამარცხება) და დამარცხება სამზე მეტი ბურთის სხვაობით (აშკარა დამარცხება). აღნიშნული ხასიათისა და ხარისხის შედეგებისთვის უნდა მოქმედებდეს ქულათა დარიცხვის შემდეგი სისტემა: აშკარა გამარჯვება — სამი ქულა, გამარჯვება — ორი ქულა, ფრე — ერთი ქულა, დამარცხება — ნოლი ქულა და აშკარა დამარცხება — მინუს ერთი ქულა. დიახ სწორედ მინუს ერთი. გუნდი, რომელიც აშკარად წააგებს მატჩს უნდა დაისაჯოს ერთი ქულის დაკლებით იმ მარაგიდან რაც მას ამა თუ იმ ტურის შემდეგ დაუგროვებია.

რას უნდა მოველოდეთ ქულათა დარიცხვის ამ სისტემისაგან? 1. — შედარებით ძლიერი გუნდი ან გუნდი, რომელსაც სჭირდება სამი ქულა ყოველ მატჩში თავგამეტებით იბრძოლებს ასეთი შედეგის მისაღწევად. 2. — გუნდი რომელიც შედარებით სუსტია თავგანწირვით იბრძოლებს ყოველ მატჩში, რათა ღირსეულად მაინც დამარცხდეს. თუ გამარჯვებას ან ფრეს ველარ აღწევს, წინა ტურებში მოპოვებული ქულები მაინც არ დაჰკარგოს. 3. — ქულათა დარიცხვის აღნიშნული სისტემა არამდგრადს გახდის გუნდების სატურნირო მდგომარეობას, რისი ძალითაც ა) გამოირიცხება შუა სეზონის შემდეგ რიგი გუნდების ზრუნვა სატურნირო ცხრილის შუაში უკვე მოპოვებული ადგილის უდრტვინველად შენარჩუნებაზე. ბ) ჩემპიონატის დამთავრებამდე ნებისმიერ გუნდს, რომელიც გამოიჩენს სათანადო ნებისყოფასა და ბრძოლის უნარს ექნება შანსი იბრძოლოს რაც შეიძლება მაღალი ადგილის მოსაპოვებლად.

საბოლოო ჯამში კი ყველაფერი ეს ფეხბურთში დააბრუნებს ჭიდილს, ე. ი. ვაჟკაცური ბრძოლის მომენტს, რომლითაც ლამაზია და ფასეული სპორტის ნებისმიერი სახეობა და მათ შორის, ცხადია, ფეხბურთიც. თავად ჭიდილი კი ყველაზე საუკეთესო გარანტიაა იმისა, რომ ყოველგვარი სუპერთანამედროვე ტრენაჟორების, სასწავლო-საწვრთნელო ბაზების, სამედიცინო ტექნიკისა და ტესტების გარეშე მკვეთრად ამაღლდეს ცალკეულ ფეხბურთელთა სპორტული დონე, რითაც ამაღლდება და თვისობრივად ახალ ხარისხში ავა ჩვენი ეროვნული ფეხბურთიც.

ისიც არაა უმნიშვნელო მომენტი რომ ფასი დაედება გუნდის მიერ გამოჩენილ შეუპოვრობას. უფრო ძლიერნი თავისი ძალის შესაბამისად დაიმსახურებენ ქულათა იმ მარაგს რაც მათ თითოეულმა ჩატარებულმა ბრძოლამ მოუტანა; სუსტნი კი ცოტას ე. ი. იქნება მეტი დიფერენცირების საშუალება, რაც გაცილებით უფრო სამართლიანია, ვიდრე დღეს მოქმედი სისტემა. სამართლიანობა კი ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია სპორტული შედეგების გასაუმჯობესებლად.

**იაგო შეყილაძე,**
მათემატიკოსი, ასტრონომი.

ჰონორარი გთხოვთ გადარიცხოთ სოფელ სხვავის (რაჭა) ეკლესიის მშენებლობის ფონდში.

**რედაქციისგან:** ავტორის მოსაზრება სადავოდ მოგვეჩვენა, მაგრამ მასთან უშუალო გასაუბრების შემდეგ გადავწყვიტეთ წერილი დაგვებეჭდა იმ იმედით, რომ კამათში მივაგნებდით ჭეშმარიტებას. ბატონ იაგო შეყილაძის იდეას თქვენ უკვე გაეცანით, როგორია თქვენი აზრი მის შესახებ? როგორია თქვენი არგუმენტები და კონტრარგუმენტები? მოგვწერეთ. „სარბიელი" დაბეჭდავს ყველა მოსაზრებას ამ იდეის გარშემო. მასალა არ უნდა აღემატებოდეს ერთ ნაბეჭდ გვერდს. ჩვენი მისამართია: 380060 თბილისი, ცაგერის ქუჩა № 6, ბინა 30. გაზეთ „სარბიელის" რედაქცია. (ტ.38 39 93).

## გულშემატკივრის ცნობარი

(გაგრძელება)

1940 წელს გამოვიდა სამბოს პირველი დამხმარე სახელმძღვანელო. მისი ავტორები იყვნენ ამ ჭიდაობის საკმაოდ ავტორიტეტული სპეციალისტები ნ.გალკოვსკი და რ.შკოლნიკოვი.

1949-1954 წლებში ა. ხარლამპიევის ავტორობით გამოიცა რამდენიმე სახელმძღვანელო და ვრცელი მონოგრაფია „ჭიდაობა;სამბო".

1957 წელს სამბო საერთაშორისო სარბიელზე გადის. ახალი ჭიდაობით დაინტერესდნენ იაპონიაში, საფრანგეთში, ბულგარეთში, ესპანეთში, მონღოლეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში.



საჩვენებელ ვარჯიშს სამბოში ატარებს მისი ერთ-ერთი გამომგონებელი ა. ხარლამპიევი (მარცხნივ).

1966 წელს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა ტოლიდოში (აშშ) სამბო დამოუკიდებელ დისციპლინად აღიარა და შექმნა ამ სახეობის სპეციალური კომიტეტი.

1972 წელს რიგაში მოეწყო ევროპის პირველი ჩემპიონატი, ერთი წლის შემდეგ კი თეირანში პირველი მსოფლიო ჩემპიონატიც ჩატარდა. თეირანის ტურნირში ოქროს მედლები სხვა მოჭიდავეებთან ერთად მოიპოვეს ქართველმა ფალავნებმა გენადი გიორგაძემ (48კგ) და ლევან თედიაშვილმა (90კგ).

1977 წელს ქალაქ ოვიედოში სამბისტებმა პირველად გაითამაშეს მსოფლიოს თასი.

საქართველოს მოჭიდავეები სამბისტთა ყველა რანგის შეჯიბრებებში იმთავითვე გამორჩეულ შედეგებს აღწევდნენ. მაგალითისათვის თუნდაც საკავშირო ჩემპიონატის შედეგებს გადავხედოთ, ვინაიდან წლების მანძილზე ეს შეჯიბრება სამბისტების ოსტატობის ერთადერთი და ყველაზე რეალური საზომი იყო. ჩემპიონის წოდება სხვადასხვა დროს საქართველოს 30 მოჭიდავემ მოიპოვა. მათს ანგარიშზეა 57 ოქროს მედალი.

ანზორ კიკნაძე და იოსებ მალალაშვილი ამ სიაში, სავსებით კანონიერად, რეკორდსმენებად ითვლებიან, ვინაიდან 5-5-ჯერ ფლობდნენ უმაღლეს ჯილდოს. 4-4 ოქროს მედალი აქვთ მიღებული ლავრენტი კაციაშვილსა და ესტატე ქარქუსაშვილს, 3-3 — შოთა დაუშვილსა და გიორგი როსტიაშვილს, 2-2 — შალვა ნოზაძეს, ქრისტეფორე ნინიაშვილს, ოთარ შინჯიკაშვილს, თენგიზ ელერდაშვილს, ზაქარია მუხიაშვილს, ანზორ ქიბროწაშვილს, რამაზ ხარშილაძეს და ჯემალ მჭედლიშვილს. დანარჩენმა სამბისტებმა თოთოჯერ იზეიმეს ჩემპიონატში გამარჯვება.

რამდენიმე სიტყვა საერთაშორისო ტურნირებზე, პირველ ყოვლისა, მსოფლიო ჩემპიონატებზე. საქართველოს მოჭიდავეებს მსოფლიო ჩემპიონის რვა ოქროს მედალი აქვთ მოპოვებული. ჯემალ მჭედლიშვილმა და სერგეი ტერნოვიხმა ორ-ორჯერ გაიმარჯვეს. მჭედლიშვილი ჩემპიონი იყო 1987 და 1989 წლებში, ტერნოვიხი კი უფრო ადრე — 1984 და 1985 წლებში. მათ გარდა სხვადასხვა დროს მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ გენადი გიორგაძე (1973), ლევან თედიაშვილი (1973), იოსებ მალალაშვილი (1974) და მალხაზ ბერუაშვილი (1990). ქართველ სამბისტთა წარმატებების ამ ნუსხას უნდა დავუმატოთ ჯემალ მჭედლიშვილის ორი უმაღლესი ჯილდო 1987 და 1989 წლების ევროპის ჩემპიონატებზე, აგრეთვე, კონტინენტის წლევანდელი ჩემპიონატის შედეგები, მაგრამ ამ უკანასკნელს მცირე განმარტება სჭირდება.

ამბავი, რომელსაც ქვემოთ მოგითხრობთ, კარგა ხანია დაიწყო, მაგრამ კულმინაციას მან ერთიორი თვის წინ მიაღწია, ივნისის ბოლო რიცხვებში კი ბოლოს და ბოლოს დაგვირგვინდა, ვფიქრობთ, ჩვენთვის სასურველი შედეგით. ევროპის ქვეყნები დიდი ხანია პროტესტს უცხადებენ სამბოს საერთაშორისო ფედერაციას საბჭოთა მონოპოლიზმის გამო. რაში გამოიხატება ეს მონოპოლიზმი? პირველ ყოვლისა იმაში, რომ ევროპის ყველა ჩემპიონატში, როგორც წესი, საბჭოთა მოჭიდავეები იმარჯვებენ და ტურნირის ჩატარება ამ სახით აშკარად კარგავს აზრს. იყო რამდენიმე ალტერნატიული მოსაზრება, რომელთაგან ყველაზე მისაღები გამოდგა საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებელი მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატში და, ამდენად, მხარეთა შანსების მეტნაკლები გათანაბრება, ამ ალტერნატივას გარეგნულად თითქოს ყველა უჭერდა მხარს, მით უფრო, რომ ბევრმა საბჭოთა რესპუბლიკამ სრული სუვერენიტეტი გამოაცხადა და ბევრიც განუხრელად დადგა ამ გზაზე.

შფოთისთავებად ამჯერად იტალიისა და საფრანგეთის სამბოს ფედერაციები მოგვევლინენ და მათ წინადადებას ევროპის ალტერნატიული ჩემპიონატის ორგანიზაციის შესახებ მხარი დაუჭირა თითქმის ყველა ფედერაციამ. ყველამ, ცხადია, იმათ გარდა, ვინც დამოუკიდებლობის ნებისმიერ გამოვლენას ყალყზე შემდგარი ხვდება.

მერე მოვლენები საკმაოდ სწრაფად და ცალმხრივად განვითარდა. ნატანიაში (ისრაელი) მოეწყო ევროპის ჩემპიონატი სამბოში მხოლოდ რამდენიმე გუნდის მონაწილეობით და მასში, ცხადია, ძველებურად დომინირებდა საბჭოთა ნაკრები. დაახლოებით თვენახევრის შემდეგ ტურინში (იტალია) მოეწყო მეორე, უფრო მასობრივი და სრული ევროპის ჩემპიონატი მეამბოხეთა მონაწილეობით. და აი, სწორედ აქ მიიღეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი სამბისტთა ევროპის ახალი საერთაშორისო ფედერაციის შექმნის თაობაზე, რომლის სრულუფლებიან წევრთა შორის საქართველოც არის არჩეული.

რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატს, ტურინში დამოუკიდებლად მოასპარეზე საქართველოს ნაკრებმა პირველი გუნდური ადგილი დაიკავა. თანაც მისმა წევრებმა ხუთი ოქროს, ერთი ვერცხლის და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუბრიკას უძღვება ნოდარ გუგუშვილი

წერილი ამსტერდამიდან

# ჯანმრთელობა ყველას უნდა

## ანუ, როგორი შეიძლება იყოს კლუბი მათთვის, ვინც ჩემპიონობას არ აპირებს

ერთხელ წვიმამ ამსტერდამის ერთ ვიწრო ქუჩაზე მომისწრო. ავდექი და ალალბედზე პირველივე კარი შევაღე — სპორტული კლუბი აღმოჩნდა. ახალგაზრდა, კოხტა მამაკაცი უმალ ჩემკენ გამოეშურა და წარმომიდგა. სლახტერმა მითხრა, კლუბ „სტოკერაის" მენეჯერი ვარო, მე კი ვუთხარი, ჟურნალისტი გახლავართ-მეთქი. მაშინ სლახტერი უხმოდ გაბრუნდა და ბლოკნოტი და კალმისტარი მომიტანა (ხომ ხდება, რომ ჟურნალისტსაც კი ყოველთვის თან არ აღმოაჩნდება ხოლმე ბლოკნოტი და კალმისტარი) და მთხოვა ჩამეწერა ყველაფერი, რასაც მომიყვებოდა.

კარისაკენ მივბრუნდი. არა, ამსტერდამში ხანგრძლივი წვიმა სცოდნია და კალამს მოვკიდე ხელი. „რაც მთავარია, — მითხრა სლახტერმა, — ეს კლუბი ჩემპიონებისთვის კი არ არის, არამედ ჩვეულებრივი ადამიანებისათვის".

გავიარეთ მომცრო ჰოლი. იქ რამდენიმე აპარატი იდგა, და თუ მათში ხურდას ჩაუშვებდი. სურვილის შესაბამისად მიიღებდი კოკა-კოლას, ჩაის, ბუტერბროდს ან სიგარეტებს.

„რა, თქვენთან ეწევიან?" — მკაცრად ვკითხე მე.

— „ქუჩაში!" — მომიგერია სლახტერმა.

დარბაზში შევედით — ძალზე პატარა იყო, ჩვენში ბევრ სკოლას აქვს ასეთივე.

„აქ შეიძლება ითამაშო კალათბურთი, ფრენბურთი, ბადმინტონი, მაგიდის ჩოგბურთი." — სლახტერმა თითებზე ჩამოთვლა დაიწყო. — კიდევ, ზოგს ტანვარჯიში აინტერესებს, ზოგს აერობიკა და რა ვიცი, კიდევ". მაგრამ ახლა ნახევარი დარბაზი ცარიელი იყო, მეორე, გასაწევი ფარდით გადატიხრული ნახევარიდან კი ხმადაბალი განკარგულებები ისმოდა: ერთი, ორი, სამი. ფარდის მიღმა შევიჭვრიტე — რამდენიმე მოხუცებული ქალი წრედ დადგმულ სკამებზე იჯდა. ერთ-ერთი მათგანის ბრძანებაზე ყველა ხელებს ზევით სწევდა და ფეხებს იატაკს სწყვეტდა.

„მათ რცხვენიათ, როცა უყურებენ, ამიხსნა სლახტერმა. — ვის სიამოვნებს სიბერე? ესენი ჩვენი მუდმივი კლიენტები არიან, კვირაში სამჯერ ვარჯიშობენ, ჩვენ მათ შეღავათს ვუწევთ". თუმცა, გადასახადს, რომელსაც აქ იმისათვის იხდიან, რომ „მოხუცებად" არ გამოიყურებოდნენ, მაღალი არამც და არამც არ ეთქმის. კლუბ „სტოკერიაში" სპორტის ნებისმიერ სახეობაში მეცადინეობის თითო საათი სამი გულდენი ღირს, ამასთან სპორტის სათამაშო სახეობებზე იგივე ფასია დაწესებული 1,5 საათისათვის. აქვე გეტყვით, რომ ჰოლანდიაში საშუალო ხელფასი 3-5 ათასი გულდენია. უმუშევარი კი ერთი ათასი გულდენის დახმარებას იღებს.

სლახტერმა სპორტული ინვენტარისათვის განკუთვნილ დიდ ოთახში შემიყვანა. აქ ყველაფერი იყო, ბურთებით დაწყებული, სხვადასხვა ზომის სპორტული ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით დამთავრებული. მერე ჩვენ გვერდით, მომცრო ოთახში შევედით. აქ ველოსიპედები და გორგოლაჭებიანი ციგურები ვნახეთ — ამსტერდამში „გადაადგილების ეს საშუალებები" ერთობ პოპულალურია.

„წარმოგიდგენია, ზოგჯერ აქ ისეთი ხალხიც ჩამოდის, ველოსიპედის ტარება რომ არ იცის. საიდანლაც, ვთქვათ, სურინამიდან. არა და, ამსტერდამში უველოსიპედოდ ვერ იცხოვრებ. ჰოდა ჩვენც ვასწავლით".

სლახტერმა აქაური თინეიჯერების საყვარელი ერთბორბლიანი ველოსიპედი მიჩვენა, მთლად ცირკის ველოსიპედივით იყო. პირადად მე ასეთ ველოსიპ:დ ზე პირველად ამსტერდამში დავჯექი. ჟუმცა კი სურინამიდან არ გახლავართ. მერე პატარა დერეფანს გავუყევით, გზადაგზა გასახდელებში, საშხაპეებსა და ტუალეტებში ვიყურებოდით. ყველგან საოცარი, განსაცვიფრებელი სისუფთავე იყო.

„ო, — წამოიძახა სლახტერმა, — ტუალეტის ქაღალდი გათავებულა". თავის „ოფისში" — ჰოლში მდებარე პატარა ჯიხურში გაიქცა და კაფელის შესატყვისი ვარდისფერი ტუალეტის ქაღალდი მოარბენინა.

გამიკვირდა — რაც უნდა იყოს, მენეჯერია, და ასეთი წვრილმანებით კი არის დაკავებული-მეთქი. სლახტერი ვერ მიხვდა რამ გამაკვირვა.

„კლუბში სამნი ვმუშაობთ, — მითხრა მან და ყველანი ყველაფ:·² ვაკეთებთ".

ეს სამი ადამიანი ორ ცვლაში მუშაობს — დილის შვიდი საათიდან სამამდე, მერე კი სამიდან ოცდაოთხ საათამდე. საღამოობით თითქმის ყოველთვის ორნი მუშაობენ ხოლმე — ხალხიც მეტია და სამუშაოც. დასვენებითაც ცვლობით ისვენებენ — ყოველ შვიდ დღეში ორ-ორ დღეს. ეტყობა, ქალები მუშაობის ასეთ რიტმს ვერ უძლებენ — კლუბ „სტოკერაის" სამივე თანამშრომელი მამაკაცია.

ესეც ბოლო კარი — სატრენაჟორო დარბაზი. რა გიამბოთ; პატარა კლუბი „სტოკერაი" მდიდარი არ არის, როგორც ითქვა, იგი ჩემპიონებისათვის კი არა, ჩვეულებრივი ადამიანებისათვის არის განკუთვნილი. ტრენაჟორები კი აქ ისეთია, გაკვირვებისაგან ლამის კალმისტარი ხელიდან გამივარდა.

წვიმამ გადაიღო. მოხუც ქალებს მეცადინეობა დაემთავრებინათ, ახლა ჰოლში, ერთმანეთთან მიდგმულ მაგიდებს უსხდნენ და ჩაის მიირთმევდნენ, თან, ეტყობა, შინაურ ნამცხვარს ატანდნენ. მოხუცებული ქალები ალბათ მთელ მსოფლიოში ერთნაირები არიან — არავის უნდა სიბერის ჟამს ეულად იგრძნოს თავი.

თუმცა, ალბათ, მარტო მოხუც ქალებს კი არა, ყველა ადამიანს დედამიწაზე რაღაცით მეტი ან რაღაცით ნაკლები, მაგრამ დაახლოებით ერთი და იგივე რამ სურს, ოღონდ ამ ნუსხაში ჯანმრთელობა აუცილებლად შედის.

კაკი ბოჟორიშვილი




ფეხბურთის იმ გულშემატკივრებს, რომელთაც ხელთ ჩავარდნიათ სახელგანთქმული ინგლისური ფირმის — როთმანსის ყოველწლიური საფეხბურთო წიგნი, სიხარულთან ერთად ალბათ სინანულიც დაუფლებიათ, რადგან ამ წიგნის ქართული ანალოგი დღემდე არ მოგვეპოვება. და აი, სულ მალე ქართველ გულშემატკივრებს საშუალება ექნებათ შეიძინონ

ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი №1, 1991-92.

წიგნში, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით გამოვა, ფართოდაა გაშუქებული საქართველოს და ევროპის ყველა ქვეყნის საფეხბურთო მოვლენები.

ორგანიზაციათა საყურადღებოდ!

თუ გსურთ, რომ თქვენი რეკლამა იხილოს ფეხბურთის ასიათას[illegible]ათ მოყვარულმა, იჩქარეთ! რეკლამის თაობაზე შეგიძლიათ მოგვმართოთ: კოლექტიური სარგებლობის საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრი. წერეთლის პრ. №130, ტელ. 35-26-44.

იჩქარეთ! თქვენს განკარგულებაშია მხოლოდ ხუთი დღე.


# კასპაროვის პოტენციური მეტოქე

ჭადრაკის სამყაროში არსებობს აზრი რომ 22 წლის ვასილი ივანჩუკი ის დიდოსტატია, რომელიც გარი კასპაროვის ყველაზე მოსალოდნელი მეტოქეა მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლაში. ამ შეხედულებას ადასტურებს 1 ივლისისათვის ფიდე-ს რეიტინგების გაცნობაც. მასში გარი კასპაროვის რეიტინგია 2770, ვასილი ივანჩუკისა — 2735, ანატოლი კარპოვისა — 2730, მაგრამ თავად ივანჩუკი ამბობს: ჯერ შორსაა კასპაროვთან შეხვედრამდეო.



ვასილი ივანჩუკი

სხვადასხვა მიმომხილველის მონაყოლი, ჯამში ივანჩუკის ასეთ პორტრეტს გვიხატავს: წერენ, „ივანჩუკი ჭეშმარიტად ხალასი ნიჭით არის დაჯილდოებული. იგი ცხოვრობს ჭადრაკით, თამაშსა და ანალიზში ხშირად გაგაოცებთ. იგი ძალიან ბევრს ხედავს პოზიციაში, შესანიშნავად ანგარიშობს ვარიანტებს, დაჯერებულად გრძნობს თავს გართულებებში. ხშირად დაფასაც არ უყურებს — ფიგურები და პაიკები აზროვნებაში მიშლიან ხელსო. ბავშვობაში ვასილი ყველას ანცვიფრებდა, როცა უდაფოდ, ზეპირად ხსნიდა რთულ ეტიუდებს". სტილით ივანჩუკი რობერტ ფიშერს გვაგონებს. ისიც, ფიშერის მსგავსად, გაათკეცებული ენერგიით თამაშობს გამარჯვებისთვის და მეტისმეტად მწვავედ განიცდის დამარცხებას". „ივანჩუკს აბსოლუტური საჭადრაკო მეხსიერება აქვს. აი, რას გვიამბობს კარპოვის მწვრთნელი, ცნობილი დიდოსტატი იგორ ზაიცევი: როცა კასპაროვ-კარპოვის მატჩების პარტიები დამჭირდა, ხელთ რომ არ მქონდა, ივანჩუკმა ადვილად დამაძლევინა „ტექნიკური სიძნელეები". იგი უშეცდომოდ მკარნახობდა ნებისმიერი პარტიის ტექსტს, საკმარისი იყო მხოლოდ დამესახელებინა პარტიის ნომერი. ერთხელ კიდეც წაიბურტყუნა: ჯერჯერობით კომპიუტერი არ მჭირდებაო". ივანჩუკი მთელი არსებით ჭადრაკის პრობლემებით არის გართული. ამის გამო შეიქმნა აზრი თითქო იგი გაუწონასწორებელი ახალგაზრდაა, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის მომავალსო". ახეა, როცა უჩვეულო ტალანტი მზესავით ჭრის თვალს (ზოგი დაბოღმილის გონებასაც!). რა თქმა უნდა, ეს წინასწარმეტყველება გააქარწყლა ვასილის შემდგომმა დიდმა მიღწევებმა.

ჩემი დაკვირვებით ვასილი ივანჩუკი მოკრძალებული ახალგაზრდაა. სიტყვაძვირი. იგი შარშან ბორჯომში, პრეტენდენტ ქალთა ტურნირის დროს გავიცანი. ჩამოსული იყო თავისი საცოლის — ყაზანელი დიდოსტატის ალისა გალიამოვას საქომაგოდ.

ვასილიმ მიამბო, რომ დაიბადა 1969 წლის 18 მარტს უკრაინის ქალაქ ბერეჟანში. მამა მიხეილი იურისტი ჰყავს, დედა მარია — ფიზიკის მასწავლებელი. თვითონ მათი ერთადერთი შვილია. ჭადრაკს მამამ აზიარა, 6 წლის რომ იყო. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობს ლვოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭადრაკის სპეციალობაზე (ახლა მეოთხე კურსზე გადავიდა).

თავის წარმატებებიდან გაიხსენა, რომ 1986 წელს მოიგო საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა ტურნირი, 1987 წელს ჭაბუკთა ევროპის პირველობა, ხოლო მსოფლიო პირველობაზე მეორე ადგილზე გავიდა. 1990 წლის ზაფხულს მანილაში, ფილიპინებზე პირველი-მეორე ადგილები გაიყო მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში, რამაც პრეტენდენტის უფლებები მოუტანა.

ჩვენი შეხვედრის შემდეგ ვასილიმ მოიგო ლინარესის არნახულად მაღალი, XVII კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი. მან დაუმარცხებლად განვლო იგი და, რაც არანაკლებ თავმოსაწონია, სძლია კასპაროვსა და კარპოვს. ჯილდოდ კი ახალთახალი ავტომობილი „ფოლკსვაგენ-პოლო" მიიღო.

ამ ტურნირის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში ივანჩუკმა კორიფეებთან თავის პირად ურთიერთობაზე თქვა: — მსოფლიო ჩემპიონს ძირითადად საჭადრაკო დაფასთან ვხვდებოდი. ამ შეხვედრების ბალანსი ჩემს სასარგებლოდ არ არის. კარპოვთან უფრო ხშირი ურთიერთობა მქონდა. ვიყავი მისი სპარინგ-პარტნიორი. ორივენი ჩემთვის მასწავლებლები არიან საჭადრაკო ხელოვნების ათვისების აზრით.

— ჭადრაკი ჩემი პროფესიაა და მას მთელი გულისყურით ვეუფლები, — მიამბობდა ვასილი ბორჯომში, — პატარაც რომ ვიყავი, სერიოზულად ვეკიდებოდი მეცადინეობას. ვეცნობოდი უძლიერესთა პარტიებს, ეტიუდებს. ბევრსაც ვაანალიზებდი. მეტოქეთა შიშის გრძნობა არასოდეს მქონია, ამიტომ ყოველ პარტიაში მის ლოგიკურ დასასრულამდე ვიბრძვი.

ჩვენი საუბრებიდან დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ივანჩუკი ძალიან შორს წავა. ამის თავდებია მისი ჯანმრთელობა, დიდი შრომისუნარიანობა და საჭადრაკო ცხოვრების რეალური აღქმა.

ახალი, 1991 წლის დამდეგს ვასილიმ ცოლად შეირთო ალისა გალიამოვა და მასთან ერთად გაემგზავრა რიგაში მსოფლიო პირველობის მერვედფინალური მატჩის სათამაშოდ ლენინგრადელ დიდოსტატ ლეონიდ იუდასინთან. ამ დროს ლატვიაში რთული პოლიტიკური სიტუაცია იყო. ის და იუდასინი მაინც დარჩნენ რიგაში, თუმცა შეეძლოთ სხვაგან ეთამაშათ. მათ ანგარიში გაუწიეს მასპინძელთა დიდ მოსამზადებელ მუშაობას.

ივანჩუკმა გაიმარჯვა შთამბეჭდავი, ფიშერისებური ანგარიშით — 4,5 : 0,5. იგი მხოლოდ მეხუთე პარტიაში დასჯერდა ყაიმს.

— ამბობენ, შენ ძალიან დაგეხმარა მეუღლე, დიდოსტატი ალისა გალიამოვა: პრეტენდენტთა მატჩი ხომ თქვენი თაფლობის თვეს დაემთხვა? — ჰკითხეს ჟურნალისტებმა ვასილს.

— რაც შეეხება თაფლობის თვეს — ხუმრობაა. ასეთი მატჩი ნერვებისა და გონების უკიდურესობამდე დაძაბვას მოითხოვს.

უნდა ვიფიქროთ დაოჯახება ხელს შეუწყობს ალისას და ვასილის თავიანთ საჭადრაკო მოღვაწეობაში.

— ჯერჯერობით ვიწროდ ვართ, მშობლებთან ვცხოვრობთ, მაგრამ ლინარესში გამარჯვების შემდეგ ლვოვის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება გამოგვიყონ ცალკე ბინა, — ამბობს ვასილი. — მეკითხებით, როგორია ერთ ოჯახში ორი დიდოსტატის ცხოვრება, ვიტყოდი: მშვენიერი. გვესმის ერთმანეთის, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ჭადრაკის გარდა არაფერი გვაინტერესებს. მე ძალიან მიყვარს კითხვა. დოსტოევსკი, ტოლსტოი, ტიუტჩევი... ალისა ინგლისურ ენას ეუფლება. იგი ამ სპეციალობით სწავლობს ყაზანის უნივერსიტეტში.

ახლა ვასილი ივანჩუკი ბრიუსელში გასამგზავრებლად ემზადება. 10 აგვისტოს ბელგიის დედაქალაქში სტარტს აიღებს მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩები. მათ შორის ივანჩუკის შეხვედრა საბჭოთა დიდოსტატ არტურ იუსუპოვთან.

თენგიზ გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი.

# ბალახის კორტების ახალი მეფე

უიმბლდონში კაცთა ერთეულების ფინალის დაწყებამდე გამარჯვებას თითქმის ყველა ბორის ბეკერს უწინასწარმეტყველებდა. მის მეტოქესა და პარტნიორს გერმანიის ნაკრებიდან მიხაელ შტიხს მხარს უჭერდა მხოლოდ ერთი კაცი — გერმანიის ჩოგბურთელთა გუნდის კაპიტანი, იუგოსლავიელი ნიკი პილიჩი. მისი პროგნოზი უტოპიად ჩათვალეს, მაგრამ, როგორც ვნახეთ, სულ ტყუილად — გამარჯვება სწორედ შტიხმა მოიპოვა.

— ბოლო წლებში მიხაელი ძალიან დაწინაურდა. დევისის თასის გუნდურ შეხვედრებში მას უკვე ძნელია შემცვლელი მოეძებნოს. იგი მზად არის პირად შეჯიბრებებში გამარჯვებისთვისაც, — ამტკიცებდა პილიჩი.

ფინალის შემდეგ იუგოსლავიელი სპეციალისტი, რომელიც სულ ახლახან (მართალია, მცირე ხნით) ბეკერთანაც მუშაობდა, აღტაცებას ვერ მალავდა.



შტიხის ელვისებური აღზევება, ტრიუმფი უიმბლდონში. ეს იმდენად სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ რედაქციაში მისი ერთადერთი ფოტო გვაქვს.

„ეს იყო ფანტასტიკური თამაში, რომელმაც ჩოგბურთში ახალი გმირი გამოიყვანა სარბიელზე", — თქვა მან.

ოცდაორი წლის მიხაელ შტიხი არ შეუშინდა თავის სახელგანთქმულ მეტოქეს, რომელიც გამარჯვების შემთხვევაში მეოთხედ ავიდოდა ტახტზე, და თვითონ დაისაკუთრა „ბალახის კორტების მეფის" ტიტული. შტიხი თავის წარმატებას იმით ხსნის, რომ მატჩის წინ მას ფავორიტად არავინ თვლიდა: „მე დასაკარგი არაფერი მქონდა და კორტზე მშვიდად ვიყავი".

ექსპერტებმა შტიხის თამაშის შეფასებისას ისიც გაიხსენეს, რომ იგი ჯერ კიდევ ფინალამდეც საკმაოდ კარგად თამაშობდა. ლონდონის „ინდეპენდენტის" მიმომხილველი წერდა: „მან თავისი ნამდვილი სახე კორტზე გვიჩვენა. ამ ბიჭმა მსოფლიოს ორი საუკეთესო ჩოგბურთელი დაამარცხა: სტეფან ედბერგი და ბორის ბეკერი".

„ეს ნიჭიერი ჭაბუკი მსოფლიო გრანდებიდან არავის არ ჰგავს. ის თავისი გზით მიდის", — ამბობს გერმანიის საინფორმაციო სააგენტო დპა-ს კომენტატორი.

თვითონ უიმბლდონის გმირი ამბობს, რომ ჩოგბურთში მისი კერპი ბორის ბეკერი იყო, მას ფინალში თამაში არ გამოუვიდა. აშკარად ეტყობოდა ნერვიულობა. ამის გამო შებოჭილი იყო. ბეკერი გამოჩენილი ჩოგბურთელია და დღესაც კი, როცა გავიმარჯვე, მასთან ჩემი გათანაბრება არ შეიძლება. შეხვედრის შემდეგ ბორისი გადამეხვია და მომილოცა. ამან ჩემს გამარჯვებას კიდევ მეტი წონა შესძინა. ბორისი ნამდვილი რაინდი და დიდი სპორტსმენია, — ამბობს ახალი ჩემპიონი.

„შტიხმა სასწაული მოახდინა. გუშინ ყველასათვის უცნობი ჭაბუკი დღეს ნამდვილ ჯადოქრად იქცა და ცარიელი ყუთიდან ჯოხის ერთი დაქნევით ცოცხალი ბაჭია ამოიყვანა", — წერს „ტაიმსი".

„ბეკერის დღემდე მოუგერიებელი მოწოდებები შტიხისთვის რბილი „ინგლისური ფუნთუშები" გამოდგა. მისმა „მფრინავმა ყუმბარებმა" კი თვითონ ჩემპიონი გააოცა. შტიხმა მოიგო თავისი მძლავრი დარტყმის, ჭკვიანური მოქმედებისა და დიდი ამტანობის წყალობით", — თვლის იტალიის გაზეთი „ხტამპა".

„უიმბლდონის წმინდა გერმანული ფინალი ბეკერისთვის საშინელ წამებად იქცა. შტიხმა თავისი ფანტასტიკური მიწოდებებითა და ბრწყინვალე თამაშით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩოგბურთმაჭახზლვრები არ იცის", — ხაზგასმით აღნიშნავს შვეიცარიის „ბლიკი".

„შტიხის პირველი გამარჯვება უკანასკნელი არ იქნება. ეს ყველასთვის ნათელია. ახლა ბეკერს დიდხანს დასჭირდება ცდა ტახტის დასაბრუნებლად და ისიც საკითხავია, ოდესმე შეძლებს თუ არა ამას. სარბიელზე ხომ შტიხი გამოჩნდა", — წერს „დაგენს ნიეპეტერი" (შვეცია).

— მიჭირს სიტყვებით გადმოგცეთ, რას განვიცდი ახლა. მე დრო მჭირდება, რომ ეს ყველაფერი „გადავხარშო". ერთი რამ მტკიცედ ვიცი: მომავალშიც მთელ ჩემს ცხოვრებას ჩოგბურთს მივუძღვნი, არ ვუღალატებ თამაშის საკუთარ სტილს. მე არ მინდა ვინმეს მადარებდნენ. კორტზე არავის არ ვგავარ და მინდა ასეთივე დავრჩე, — ამბობს მიხაელ შტიხი.

მოამზადა
ალექსანდრე იმედაშვილმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# «ჯადოქარი» მიდის?

— მე მივდივარ. არავითარი გაცილება არ მჭირდება. პენსიონერის ცქერაში ხალხს ფული რატომ უნდა გადავახდევინოთ. გამოვალ, დაგემშვიდობებით და წავალ. — ასე დაამთავრა თავისი მოკლე სიტყვა „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა მრავალი წლის მანძილზე, თანამედროვეობის ერთ-ერთმა უდიდესმა კალათბურთელმა ირვინ „მეჯიქ" ჯონსონმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას. ეს სიტყვები მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. მოულოდნელი ამბით გაოგნებულმა ჟურნალისტებმა „ჯადოქრის" თვალზე ცრემლი შენიშნეს...

ირვინ ჯონსონს აგვისტოში ოცდათორმეტი წელი უსრულდება. აქედან თორმეტი წელი მან ნბა-ში გაატარა, მაგრამ აზრადაც არავის მოსვლია, თუ იგი სარბიელს დატოვებდა უახლოეს ორ წელიწადს მაინც, მით უფრო — ახლა, ასე მოულოდნელად. მიმომხილველთა აზრით, ჯონსონზე იმოქმედა „ლეიკერსის" გამანადგურებელმა მარცხმა „ჩიკაგო ბულზთან" ნბა-ს ჩემპიონატის ფინალში. გამოითქვა სხვა მოსაზრებაც. ბოლო სეზონში ჯონსონი უწინდებურად ველარ ბრწყინავდა მოედანზე. მთელი ჩემპიონატის მანძილზე ორივე მუხლის ტრავმები ტანჯავდა და ზოგჯერ დიდი ნებისყოფა სჭირდებოდა შეხვედრის ბოლომდე მისაყვანად.

— ვგრძნობ, რომ დავიღალე და მიმძიმს ასეთი ტვირთის ტარება. ვშიშობ, ვაითუ ძალა არ მეყოს, — აღიარა ჯონსონმა.

ჟურნალისტები ასახელებენ მესამე მიზეზსაც. დღეს „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" უკვე აღარ არის უწინდებურად მრისხანე გუნდი და სულ ადვილად შეიძლება ნბა-ს ჩემპიონატში ვერ გაიმარჯვოს. „ლეიკერსი" დღეს გუშინდელზე სუსტად თამაშობს, ხვალ შეიძლება დღევანდელი თამაშიც სანატრელი გაუხდეს. ეს იცის კლუბის ხელმძღვანელობამაც, რომელიც ყოველ ღონეს მიმართავს გუნდის გადასარჩენად. ამასწინანდელ აუქციონზე „ლეიკერსმა" ორი ყოფილი სტუდენტი იყიდა, მაგრამ, საერთო აზრით, ამ კალათბურთელების იმედით კრიზისის დაძლევაზე ფიქრი ძნელია. ლოს-ანჯელესის კლუბი ნბა-ს 27 გუნდიდან ბოლოსწინა ირჩევდა მოთამაშეებს და, რა თქმა უნდა, „საუკეთესო საქონელი" მას არ შეხვდებოდა. „ლეიკერსი" კენი ანდერსონზე ოცნებობდა, მაგრამ ის პირველი გაიყიდა. რაკი გუნდს „პატარა კენის" ყიდვა სურდა, უკვე საიდუმლო აღარ არის, რომ გამთამაშებლის პოსტზე ირვინის შემცვლელს ეძებენ, ის კი შეიძლება თავდასხმაში გადაიყვანონ. ეს იმას ნიშნავს, რომ „ლეიკერსი" ამიერიდან აღარ იქნება „ჯადოქრის" გუნდი...

ჯონსონს „ლეიკერსთან" კონტრაქტი 1993-94 წლის სეზონამდე აქვს დადებული, ესე იგი შეუძლია ამ გუნდში კიდევ სამ წელიწადს ითამაშოს. მაგრამ მას არაფრად მიაჩნია წელიწადში 2,5 მილიონი დოლარის დაკარგვა. ირვინს ფული არ უჭირს. მარტო რეკლამით წელიწადში 10 მილიონამდე დოლარს იღებს. ჯონსონს მხოლოდ ერთი რამ სურს — თვითონაც დატკბეს და მაყურებელიც გაახაროს კარგი თამაშით. მაგრამ რას იზამთ დროის წინაშე თვით „ჯადოქარიც" კი უძლურია.



ირვინ „მეჯიქ" ჯონსონი

ამ ცოტა ხნის წინ ლარი ბერდმა განაცხადა, სპორტს ვტოვებო. ახლა ირვინ ჯონსონი აპირებს ამას. ნბა-ში ორივენი 1979-80 წლების სეზონში მოვიდნენ და, როგორც ჩანს, ერთადვე წავლენ. ამ ორი სახელოვანი კალათბურთელის გარეშე ნბა ფრთებმოტვრეულ ფრინველს დაემგვანება.

ამერიკული პრესის მიხედვით
სოსო დათიკაშვილი.
„სარბიელის" კორესპონდენტი აშშ-ში.
ნიუ-იორკი.



# როგორც ქუხს, ისე არა წვიმს...

მაიკ ტაისონმა პირველმა მიულოცა თავის თავს საჩუქარი დაბადების დღეს: 28 ივნისს განმეორებით შეხვედრაში დაამარცხა კანადელი დონოვან რადოკი. ორი დღის შემდეგ კი იგი ოცდახუთი წლის შესრულდა. მაგრამ უნდა ითქვას, ტაისონს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის, ეს გამარჯვება იოლად არ მოუპოვებია. ლას-ვეგასის ოტელ „მირაჟის" რინგზე გამართული ამ უმძიმესი ბრძოლის შემდგომ ზოგიერთი კიდეც დაეჭვდა: ვითომ მართლა ერთადერთი და დაუმარცხებელია ეს ტაისონიო?

პროგნოზებს რაც შეეხება, აქ ყველა ერთსულოვანი იყო: ტაისონი გაიმარჯვებსო. ვერ შეთანხმდნენ სხვა საკითხში — რომელ რაუნდში უნდა მომხდარიყო ეს. ზოგიერთი იმასაც ამბობდა, მაიკი მეტოქეს ნოკაუტში ჩააგდებსო. ამ სამი თვის წინ მხოლოდ არბიტრმა იხსნა რადოკი ნოკაუტისაგან, როცა მეშვიდე რაუნდში ბრძოლა შეაჩერა ამერიკელის აშკარა უპირატესობის გამო. მაშინ მეტოქის სრული განადგურებისათვის მაიკს მხოლოდ ერთი, საბოლოო დარტყმა სჭირდებოდა. მაგრამ რადოკის ბანაკში სხვაგვარად ფიქრობდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ რეფერიმ ეს გამარჯვება პირდაპირ ხონჩით მიართვა ტაისონს.

ამავე დროს, იმ პირველმა ორთაბრძოლამ ყველას უჩვენა რომ რადოკი ადვილად ხელწამოსაკრავი მოკრივე არ არის. ეს ტაისონმაც მშვენივრად იცოდა. თუ მისი ბანაკიდან გამოსულ „ცნობებს" დავუჯერებთ, მაიკი მეტად სერიოზულად ემზადებოდა განმეორებითი შეხვედრისათვის, სრულიად შეცვალა დამოკიდებულება საწვრთნელი ვარჯიშის მიმართ და რინგს გარეთ პირადი ცხოვრების წესი. ჯეიმს „ბასტერ" დუგლასთან დამარცხებამდე (ამ მატჩის წაგებით მან უმაღლესი ტიტული დაკარგა) მაიკი ხანმოკლე ოჯახური ცხოვრების შემდეგ მოპოვებული თავისუფლებით სარგებლობდა და უმეტეს დროს მომხიბლავი თაყვანისმცემლების წრეში ატარებდა. ბოლო თვეებში კი ჩაიკეტა და ახლოს არავის იკარებდა. მაიკმა არაერთხელ განაცხადა: „რადოკს გავანადგურებ, ქვეყანას დავუმტკიცებ, რომ მხოლოდ მე მაქვს უფლება მსოფლიო ჩემპიონ ევანდერ ჰოლიფილდთან შეხვედრაზეო".



მაიკ ტაისონი

რადოკთან მატჩი უკან დარჩა. ტაისონმა გაიმარჯვა, მაგრამ მეტოქე, წინასწარი მუქარის მიუხედავად, ვერ გაანადგურა. ამერიკელმა გაიმარჯვა უმძიმეს თორმეტრაუნდიან ბრძოლაში. მართალია, თავიდან საქმე ისე წავიდა, შეიძლებოდა ნოკაუტიც ყოფილიყო. მეორე და მეოთხე რაუნდებში კანადელი ორჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში, მაგრამ გაუძლო. მეტიც, შემდეგ რადოკმა ბევრჯერ ჩააგდო მეტოქე განსაცდელში.

ყოველივე ამან სპეციალისტები იძულებული გახადა ახლებურად შეეხედათ რეალობისათვის. ზოგიერთის აზრით, ტაისონმა ამჯერად დამაჯერებელი გამარჯვება ვერ მოიპოვა. „დუგლასთან დამარცხების შემდეგ ტაისონის საქმე უკან-უკან მიდის, — ამბობს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ლარი ჰოლმსი. — ეს ალბათ უფრო იმიტომ მოხდა, რომ მან დაკარგა საკუთარი ძალის ბრმა რწმენა. ძველი „რკინის მაიკისაგან" აღარაფერი დარჩა. რკინას ჟანგი ეკიდება".

„ტაისონი ძალიან შეიცვალა მას შემდეგ, რაც ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს. მეტისმეტად ანგარებიანი გახდა, იერიშის დროს სისწრაფე დაკარგა, დაცვას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. რინგზე ხანდახან ნამდვილ ქუჩის ჩხუბისთავივით იქცევა", — ასე ფიქრობს ცნობილი ექსპერტი, მუჰამედ ალის ყოფილი მასწავლებელი ფრედი პაჩეკო.

ბევრი აღნიშნავს, რომ ტაისონმა რადოკთან შეხვედრის გეგმა ძლიერ დარტყმებზე ააგო. მატჩის პირველ ნახევარში მან რამდენჯერმე შეძლო მეტოქის დაცვის გარღვევა. ამან უდავოდ იმოქმედა რადოკის საერთო მდგომარეობაზე. ბრძოლის შემდეგ იგი თავს ცუდად გრძნობდა: სახე დასიებოდა, ქვედა ტუჩი სამგან გაკერილი ჰქონდა. იმასაც კი ამბობდნენ, ქვედა ყბის ძვალი გაუტყდა და მარცხენა ხელი მოსტყდაო. საბედნიეროდ, ეს ეჭვი არ გამართლდა. მიუხედავად ამისა, ტაისონმა აღიარა, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და უხეში ბრძოლა მისი სპორტული კარიერის მანძილზე. „რადოკმა რამდენჯერმე ისეთი ძალით დამარტყა — თვალთ დამიბნელდა, — უთხრა მან ჟურნალისტებს. — ახლა კარგი დასვენება მჭირდება. მხოლოდ შემდეგ დავიწყებ ფიქრს ჰოლიფილდთან შეხვედრაზე". ბოლოს ტაისონმა დასძინა, რადოკთან მატჩში დაშვებულ ყველა შეცდომას გავითვალისწინებ და ვეცდები მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის გამართულ ბრძოლაში ეს შეცდომება აღარ გავიმეორო.

„ნეტავ რისი იმედი აქვს? უძლიერესი მოკრივის ტიტულს მაინც ველარ დაიბრუნებს. ჰოლიფილდი ყოველმხრივ მას-ზე წინ არის. ვისაც გნებავთ, შევეკამათები — ტაისონი წააგებს და ეს მისი დასასრულის დასაწყისი იქნება" — განუცხადა ჟურნალისტებს ლარი ჰოლმსმა.

„მაიკს გარეგნულად არაფერი ეტყობა, მაგრამ შინაგანად აშკარად დათრგუნვილია. ჯერ საკუთარი ძალის რწმენა უნდა დაიბრუნოს, თორემ შეიძლება ყველაფერი კატასტროფით დამთავრდეს. მე ვურჩევ ერთი ან ორი საწვრთნელი შეხვედრა ჩაატაროს ნაკლებად ძლიერ მეტოქეებთან. ახლა მას გამარჯვება ჰაერივით სჭირდება", — ამბობს ტაისონის ყოფილი მწვრთნელი ტერი ატლასი.

სხვათა შორის, ამბობენ, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მენეჯერმა დონ კინგმა მოუძებნა თავის შეგირდს ორი მსუბუქი „კლიენტი" — რუდიკ ბოუი და რინალდი სნაიპსი. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება მატჩების ვადებზე. „მე ყველაფერს გავაკეთებ, რათა მაიკი ისევ დავაყენო ფეხზე. იგი თავის სახელს დაიბრუნებს", — ამბობს კინგი. მიმომხილველთა აზრით, ამ კაცს ფული ყველაფერს ურჩევნია. მას შეუძლია გაყიდოს ყველაფერი, ნაკლებად ცნობილ მოკრივეებთან შეხვედრაც კი, დაამაში უზარმაზარი ჰონორარი აიღოს. ასე რომ, ტაისონისა და ჰოლიფილდის მატჩის დაწყებამდე კინგი ეცდება გვარიანად მოითბოს ხელი.

მოამზადა
შალვა შალოლაშვილმა.

## ტექნიკური შედეგები

### ფრენბურთი

„მსოფლიო ლიგის“ გათამაშება. პირველი ეტაპის ბოლო ტურის შეხვედრები. „ა“ ჯგუფი. კუბა. საფრანგეთი — 3:0 და 3:2; ჰოლანდია — ბრაზილია — 3:1 და 2:3; 1. კუბა — 15 მოგება 16 შეხვედრაში; 2. ჰოლანდია — 12; 3. ბრაზილია — 7; 4. საფრანგეთი — 3; 4. კანადა — 2. „ბ“ ჯგუფი. კორეა — იტალია — 0:3 და 1:3; აშშ - სსრკ — 2:3 და 3:2; 1. იტალია — 14 მოგება 16 შეხვედრაში; 2. სსრკ — 11; 3. აშშ — 6; 4. იაპონია — 5; 5. კორეა — 4.

ფინალური ტურნირი. 26-27 ივლისი. მილანი. ნახევარფინალები. კუბა — სსრკ — 3:2; იტალია — ჰოლანდია — 3:2 მატჩი მესამე ადგილისათვის. სსრკ — ჰოლანდია — 3:1. ფინალი. იტალია — კუბა — 3:0.

### ველოსპორტი

„ტურ დე ფრანსი“. მეცხრამეტე ეტაპი. მორზანი — ეკს-ლე-ბენი (177 კმ). 1. დიმიტრი კონიშევი (სსრკ) — 4:18.28. მეოცე ეტაპი. ეკს-ლე-ბენი-მაკონი (160 კმ). 1. ვიაჩესლავ ეკიმოვი (სსრკ) — 4:12.52. ოცდამეერთე ეტაპი. ლიონი— მაკონი (57 კმ). 1. მიგელ ინდურაინი (ესპანეთი) — 1:11.45. ოცდამეორე ეტაპი. მელიუნი — პარიზი (178 კმ). 1. დიმიტრი კონიშევი. საერთო ჩათვლა. 1. მიგელ ინდურაინი — 101:01.2; 2. ჯანი ბუნიო (იტალია) — 101:04.56; 3. კლაუდიო კიაპუჩი (იტალია) — 101:07.16. გუნდური. 1. „ბანესტო“ — 303:28.2. 2. „კასტორამა“ — 303:54.34; 3. „რმო“ — 304:19.15.

### კალათბურთი

ევროპის პირველობა ახალგაზრდებს შორის. ლისაბონი. გოგონები (17 წლამდე). ფინალი. სსრკ — იუგოსლავია — 84:76. მატჩი მესამე ადგილისათვის. იტალია — უნგრეთი — 79:72.

### ძიუდო

მსოფლიო ჩემპიონატი. 25-28 ივლისი. ბარსელონა. ვაჟები - 95 კგ ზევით. 1. სკოსიროტოვი (სსრკ); 2. ფმორენო (კუბა); 3. ნოგავა (იაპონია) და კიმ კუნ სუ (კორეა). 95 კგ. 1. სტრენო (საფრანგეთი); 2. პ. ნასტულა (პოლონეთი); 3. მ. მაილინგი (გერმანია) და ი. ხოსნა (ჩეხოსლოვაკეთი). 86 კგ. 1. ხ. ოკადა (იაპონია); 2. დ. ვეგანი (აშშ); 3. ვ. ლეგენი (პოლონეთი) და დ. ვისმარა (იტალია). 78 კგ. 1. დ. ლასკაუ (გერმანია); 2. ი. ლაატსი (ბელგია); 3. ბ. ვახაევი (სსრკ) და ხ. იოშიდა (იაპონია). 71 კგ. 1. ტ. კოგა (იაპონია); 2. ი. რუისი (ესპანეთი); 3. ვ. დგებუაძე (სსრკ) და ჩუნ ხუნი (კორეა). 65 კგ. 1. უ. კველმალცი (გერმანია); 2. მ. ოკუმა (იაპონია); 3. ს. კოსმინინი (სსრკ) და დ. პედრო (აშშ). 60 კგ. 1. ტ. კოსინო (იაპონია); 2. იუნ ხიუნი (კორეა); 3. ნ. გუსეინოვი (სსრკ) და პ. პრადაროლი (საფრანგეთი). აბსოლუტური კატეგორია. 1. ნ. ოგავა (იაპონია); 2. დ. ხახალეიშვილი (სსრკ); 3. ჟ. მატონე (საფრანგეთი) და ი. გუოში (უნგრეთი).

ქალები. 72 კგ. ზევით. 1. მუნ ხი იუნი (კორეა); 2. ცზან იუნი (ჩინეთი); 3. მ. ვან დე ლი (ჰოლანდია) და ბ. მაქსიმოვა (პოლონეთი). 72 კგ. 1. კიმ მი იუნი (კორეა); 2. ი. ტანაბე (იაპონია); 3. მ. ვან დორსენი (ჰოლანდია) და ლ. მენონი (საფრანგეთი. 66 კგ. 1. ე. პიერანტოცი (იტალია); 2. ო. რევიმინესი (კუბა); 3. რ. ფუძიმოტო (იაპონია) და კ. ხეივეი (დიდი ბრიტანეთი); 3. კ. ფლერი (საფრანგეთი და ი. არადი (ისრაელი). 56 კგ. 1. მ. ბლასკო (ესპანეთი); 2. ნ. ვლაგოტიე (ბელგია); 3. ნ. ფრაიერბრიზე (დიდი ბრიტანეთი) და ლი ძიანიუნი (ჩინეთი). 52 კგ. 1. ა. გიუნჩი (იტალია); 2. შ. რენდი (დიდი ბრიტანეთი); 3. მ. პერესი (კუბა) და მ. უედა (იაპონია). 48 კგ. 1. ს. ნოვაკი (საფრანგეთი); 2. კ. ბრიგსი (დიდი ბრიტანეთი); 3. ლ. კერდესი (კუბა) და რ. ტამურა (იაპონია). აბსოლუტური კატეგორია. 1. ცზან ხაიანი (ჩინეთი); 2. ე. როდრიგესი (კუბა); 3. კ. ვებერი (გერმანია) და ნ. ლუპინო (საფრანგეთი).

კავკასიის ბირჟა

ვაჭრობა დაიწყო

ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს „კავკასიის ბირჟაზე“ ეწყობა რეგულარული ვაჭრობა.

მიმდინარეობს განცხადების მიღება ვაჭრობაში მონაწილეობისათვის. ვაჭრობაში მონაწილეობენ აუქციონერები რუსეთიდან, ყაზახეთიდან, უკრაინიდან, ბალტიისპირეთიდან; „კავკასიის ბირჟის“ უცხოელი პარტნიორები.

ვაჭრობაზე შეიძლება სახალხო მოხმარების საქონლის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, სამშენებლო მასალების, ელექტრომოწყობილობების, სათბობის, სატრანსპორტო საშუალებების წარმოდგენა.

ვაჭრობაში მონაწილეობა შეიძლება მხოლოდ „კავკასიის ბირჟის“ საბროკერო ფირმების მეშვეობით.

საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, კოოპერატივებმა და ასოციაციებმა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პროდუქციის თავისუფალ ფასებში რეალიზაციით ან შეძენით, ბროკერებთან დასაკავშირებლად უნდა მიმართონ საინფორმაციო ცენტრს.

ტელეფონი 38-46-90.
მისამართი: ვაჟა ფშაველას 72.

კავკასიის ბირჟა

სააქციონერო საზოგადოება „კავკასიის ბირჟა“
სარეკლამო სააგენტო „მი-ში-ნო“

# მეპატრონე ამბობს: „მოდი დავლიოთ, ბიჭებო!“

— მე არა ვარ იმის წინააღმდეგი, რომ ჩემმა მრბოლებმა შეჯიბრებებს შორის ცოტა ღვინო ან შამპანური დალიონ, — ფრენკ უილიამსის ასეთი უჩვეულო განცხადება, რომელიც მან ამ ერთი თვის წინ გააკეთა, ზედგამოჭრილი აღმოჩნდა პირადად მისი და „უილიამსის“ მთელი გუნდის დღევანდელი განწყობისათვის. სამისო საბაბი კი მართლაც არის. ეს გამოწვეულია მსოფლიო ჩემპიონატის IX ეტაპზე, ჰოკენჰაიმის ჩქაროსნულ ტრასაზე წარმატებით: პირველ რიგში გუნდის ლიდერის ნაიჯელ მენსელის ზედიზედ მესამე გამარჯვება უნდა აღინიშნოს, ამას დაემატა მენსელის თანაგუნდელის რიკარდო პატრეზეს მეორე ადგილი და რაც მთავარია ამ ეტაპის შემდეგ პირველად ბოლო წლების მანძილზე კონსტრუქტორთა შორის საერთო ჩათვლაში „მაკლარენ-ჰონდამ“ დაკარგა ლიდერობა და მისი ადგილი „ულიამს-რენომ“ დაიკავა!

საკვალიფიკაციო რბოლების პირველ დღეს ნაიჯელ მენსელმა თითქმის შვიდკილომეტრიანი (6802 მ.) ტრასა 251,236 კმ/სთ საშუალო სიჩქარით გაიარა და არტონ სენას შარშანდელი რეკორდი 2,831 წამით გააუმჯობესა. ბრაზილიელი მსოფლიო ჩემპიონი ამჯერად მეოთხე ადგილს დასჯერდა. მეორე იყო გერჰარდ ბერგერი („მაკლარენი“), მესამე კი — რიკარდო პატრეზე. „ფერარის“ წარმომადგენლებმა, ფრანგებმა რიკარდო პატრეზე. ჟან ალეზიმ და ალენ პროსტმა შესაბამისად მეხუთე და მეექვსე ადგილი დაიკავეს.

ერთი კვირით ადრე, ამ ტრასაზე, ფორმულა I ავტომობილებისათვის საბურავების ძირითადი მიმწოდებელი კომპანია „გუდ იარის“ მიერ მოწყობილი საცდელი რბოლის დროს შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი, დაახლოებით 300 კმ/სთ სიჩქარით მიმავალი აირტონ სენა ტრასის ზღუდეს შეეჯახა. საბედნიეროდ ამ ავარიას, რომლის მიზეზიც გამსკდარი საბურავი გახდა, ტრაგედია არ მოჰყოლია. მაგრამ მისი რბოლაში მონაწილეობა ეჭვის ქვეშ იდგა და ბუნებრივია იგი საყოველთაო ყურადღების ქვეშ მოექცა: „ბოლო ავარიებს მე ფილოსოფიური თვალსაზრისით განვიხილავ: ეს მრბოლის სამუშაოს შემადგენელი ნაწილია. რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევის შემდეგ ძალუნებურად გაჩნდება სისწრაფის შიში, მაგრამ ეს უნდა დასძლიო. სხვაგვარად ტრასაზე გამოსვლას აზრიც არა აქვს.“ — თქვა სენამ.

37 წლის ნაიჯელ მენსელი საკვალიფიკაციო რბოლების მეორე დღესაც შეუდარებელი იყო. მან გააუმჯობესა საკუთარი რეკორდი: ერთი წრე 1.37,087 წამში დაფარა (252,219 კმ/სთ) და თავის თხუთმეტწლიან კარიერაში მეჩვიდმეტედ დაიკავა „პულ-პოზიშნი“. სენამ გააუმჯობესა თავის მაჩვენებელი, მაგრამ მენსელს მაინც ჩამორჩა 0,187 წამით და მეორე ადგილზე დამკვიდრდა, რითაც მესამე-მეოთხე პოზიციაზე „გადაიყვანა“ ბერგერი და პატრეზე. პროსტმა და ალეზიმ კი ადგილები გაცვალეს.

მენსელი სტარტიდანვე დაწინაურდა და მეთორმეტე წრეზე იგი 10 წამით უსწრებდა უახლოეს მდევარ გერჰარდ ბერგერს, რომელმაც სენას ტრასის პირველივე სწორ მონაკვეთზე გაასწრო. ამ სამეულს პროსტისა და ალეზის „ფერარები“ მისდევდნენ. რიკარდო პატრეზემ წინა ეტაპის მსგავსად უხეირო სტარტი აიღო, მაგრამ მე-14 წრეზე უკვე მე-4 ადგილზე გადაინაცვლა. ამ დროისათვის მხურვალე მზემ და ტრასის საფარმა საბურავების რეზინა იმდენად მოცვითეს, რომ ლიდერებმა დაიწყეს ტექნიკურ ბოქსებში შესვლა. ამით ისარგებლა ალეზიმ და მე-18 წრეზე სათავეში მოექცა რბოლას. მაგრამ მენსელმა მალე დაიბრუნა ლიდერობა, მესამე პოზიციაზე კი პატრეზე გაიჭრა, რომელმაც საბურავები 6,59 წამში გამოცვალა. ალეზი კარგა ხანს ინარჩუნებდა მეორე ადგილს, მაგრამ ბოლოს ველარ გაუძლო შეუპოვარი იტალიელის შემოტევებს და 37-ე წრეზე პატრეზემ მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ამასობაში პროსტმა და სენამ ბერგერს გაუსწრეს და მეოთხე ადგილისათვის იბრძოდნენ. ისინი ლიდერს 15 წამით ჩამორჩებოდნენ. ეს დუელი უცებ დამთავრდა 37-ე წრეზე, როცა პროსტი ერთ-ერთ ვირაჟზე შეეცადა შიდა რადიუსით გაესწრო სენასთვის, მაგრამ მუხრუჭმა უმტყუნა და ტრასის მიღმა აღმოჩნდა. სენამ უმატა სისწრაფეს და ფინიშამდე ორი წრით ადრე ლიდერებს სულ ასიოდე მეტრით ჩამორჩებოდა. მას კვლავ გაუჩნდა პრიზიორთა სამეულში მოხვედრის შანსი, მაგრამ... ბოლო წრის პირველ მოსახვევში სენამ ხელი მაღლა შემართა, რაც გაჩერების ნიშანია. უკლო რა სვლას თავისი „მაკლარენი“ გაზონზე გადააგორა და გაჩერდა. მიზეზი — საწვავის გამოლევა. ამ მიზეზით სენამ წლეულს უკვე მეორედ ვერ მიიღო ჩასათვლელი ქულები. მენსელს კი ბენზინი საპატიო წრის შემოსავლელადაც ეყო. მან პირველად მოახერხა ზედიზედ სამი ეტაპის მოგება. მეორე ადგილი რიკარდო პატრეზეს დარჩა, რამაც „უილიამსს“ ორმაგი გამარჯვება მოუტანა.

რბოლის შემდეგ პროსტმა სკანდალური განცხადება გააკეთა: „სენამ ყველაფერი გააკეთა, რათა ჩემთვის ხელი შეეშალა. მან ჯერ შეგნებულად უკლო სიჩქარეს, მერე კი გზა გადამიჭრა. ამის გამო მე ტრასიდან გადასვლის გარდა სხვა გზა არ მქონდა. თუ ფისა-მ სუზუკი და გუჟელმინი 10000 დოლარით დააჯარიმა ნაკლები დარღვევებისთვის, სანქციები სენას წინააღმდეგაც უნდა მიიღონ. უნგრეთში, რა თქმა უნდა, ჩვენ კვლავ ერთად ავიღებთ სტარტს, მაგრამ თუ იგი კიდევ ჩაიდენს მსგავს მოქმედებას მე მას ტრასიდან გადავაგდებ“ — თქვა განრისხებულმა პროსტმა.

სენამ ამ ფაქტის კომენტარზე ჩვეულებისამებრ უარი განაცხადა. მაგრამ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა: „მენსელის გამარჯვება მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ დღეს „უილიამსის“ მანქანები ჯობნიან „მაკლარენისას“. მაგრამ მას კიდევ ბევრი ოფლის დაღვრა მოუწევს იმისათვის, რომ მე საერთო ჩათვლაში ლიდერობა ჩამომართვას“.

გერმანიის „გრან-პრი“. 28 ივლისი. „ჰოკენჰაიმის“ ავტოდრომი. 45 წრე (306,090 კმ). ერთი წრის გავლის საუკეთესო დრო: რიკარდო პატრეზე („უილიამსი“)-1.43,560 (236,434 კმ/სთ).

1. ნაიჯელ მენსელი (დიდი ბრიტანეთი, „უილიამსი“) — 1:19.29,661 (231,028 კმ/სთ); 2. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამსი“) — ჩამორჩა 13,779; 3. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ფერარი“) — 17,618; 4. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენი“) — 32,651; 5. ანდრეა დე ჩეზარისი (იტალია, „ჯორდანი“) — 1 წრე; 8. რობერტო მორენო (ბრაზილია, „ბენეტონი“) — 1; 9. ტიერი ბუტსენი (ბელგია, „ლიჟიე“) — 1; 10. ემანუელე პირო (იტალია, „დალარა“) — 1; 11. მარტინ ბრანდლი (დიდი ბრიტანეთი, „ბრებჰემი“) — 2; 12. მარკ ბლანდელი (დიდი ბრიტანეთი, „ბრებჰემი“) — 2; 13. სტეფანო მოდენა (იტალია, „ტირელი“) — 4. 14. ალენ პროსტი (საფრანგეთი „ფერარი“) — გამოეთიშა 37-ე წრეზე; 15. ივან კაპელი (იტალია, „ლეიტან პაუზი“) — 36; 16. ირკი ლეჰტო (ფინეთი, „დალარა“) — 35; 17. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონი“) — 27; 18. სატორუ ნაკაძიმა (იაპონია, „ტირელი“) — 26; 19. ერიკ კომა (საფრანგეთი, „ლიჟიე“) — 22; 20. მარისიუ გუჟელმინი (ბრაზილია, „ლეიტონ პაუზი“) — 21; 21. მიკა ჰაკინენი (ფინეთი, „ლოტუსი“) — 19; 22. აგური სუზუკი (იაპონია, „ლოლა“) — 15; 23. ჯონი მორბიდელი (იტალია, „მინარდი“) — 11; 25. ერიკ ბერნარი (საფრანგეთი, „ლოლა“) — 9; 26. ნიკოლო ლარინი (იტალია, „ლამბორჯინი“) — ერთი წრეც ვერ გაიარა.

საერთო ჩათვლა. კონსტრუქტორები: 1. უილიამსი — 71; 2. მაკლარენი — 70; 3. ფერარი — 33; 4. ბენეტონი — 23; 5. ჯორდანი — 13; 6. ტირელი — 11; 7. დალარა — 5; 8-9. მინარდი, ლოტუსი — 3-3; 10. ლოლა — 2.

**ნაიჯელ მენსელი**
დიდი ბრიტანეთი



დაიბადა 1954 წლის 8 აგვისტოს აპტონ ონ სევერნში (ინგლისი)

როგორც იქნა, ინგლისელმა პილოტმა შეძლო გერმანიის დიდი პრიზის მოგება. დღეს მარტო მენსელი კი არა, „უილიამსის“ მთელი კოლექტივი შეფის, ფრენკ უილიამსის მეთაურობით, სიხარულით მეშვიდე ცაზეა. ზედიზედ ოთხი რბოლის მოგებას მათგან არავინ ელოდა, თუმცა „რენოს“ 10-ცილინდრიანი ძრავით აღჭურვილი „უილიამსის“ საქებად სპეციალისტები და ჟურნალისტები ეპითეტებს არ იშურებდნენ.

უკეთესი შედეგი „უილიამსს“ 1987 წელს ჰქონდა. მაშინ პიკემ და მენსელმა ზედიზედ ექვსი გამარჯვება მოუტანეს თავის გუნდს. აქვე ვიტყვით, რომ „უილიამსი“ ოთხჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი კონსტრუქტორთა შორის 1980, 81, 86, 87 წლებში.

სამწლიანი პაუზის შემდეგ „უილიამსმა“ წლეულს ისევ ამოიღო ხმა და ისე ენერგიულად შეუტია ბოლო ჩემპიონატების ტრიუმფატორს „მაკლარენს“, რომ ჰოკენჰაიმის ეტაპის შემდეგ ლიდერის პოზიციაც კი წაართვა მას.

„უილიამსისთვის“ პირველი „გრან პრი“ შვეიცარიელმა კლეი რეგაცონიმ მოიგო 1979 წელს, გასულ კვირას გერმანიაში გამარჯვება კი 48-ე იყო. მენსელმა ზედიზედ მესამე რბოლის მოგებით პირადი რეკორდიც დაამყარა და ჩემპიონატის ლიდერის აირტონ სენას აქამდე მტკიცე პოზიციასაც საკმაოდ შეურყია საფუძველი.

სადღეისოდ მენსელის აქტივშია 19 „გრან პრი“ 158 რბოლიდან და 332 ქულა.

**ბორის მიხაილოვი,**
საკდესის კორესპონდენტი
სპეციალურად „სარბიელისთვის“.



| | | | | აშშ | ბრაზილია | სან-მარინო | მონაკო | კანადა | მექსიკა | საფრანგეთი | ინგლისი | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | პორტუგალია | ესპანეთი | იაპონია | ავსტრალია | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი | 10 | 10 | 10 | 10 | — | 4 | 4 | 3 | — | | | | | | | | 51 |
| 2 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი | — | — | — | 6 | 1 | 6 | 10 | 10 | 10 | | | | | | | | 43 |
| 3 | რიკარდო პატრეზე | იტალია | უილიამსი | — | 6 | — | — | 4 | 10 | 2 | — | 6 | | | | | | | | 28 |
| 4 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | ფერარი | 6 | 3 | — | 2 | — | — | 6 | 4 | — | | | | | | | | 21 |
| 5 | გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | მაკლარენი | — | 4 | 6 | — | — | — | — | 6 | 3 | | | | | | | | 19 |
| 6 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | ბენეტონი | 4 | 2 | — | — | 10 | — | — | 2 | — | | | | | | | | 18 |
| 7 | ჟან ალეზი | საფრანგეთი | ფერარი | — | 1 | — | 4 | — | — | 3 | — | 4 | | | | | | | | 12 |
| 8 | სტეფანო მოდენა | იტალია | ტირელი | 3 | — | — | — | 6 | — | — | — | — | | | | | | | | 9 |
| 9 | ანდრეა დე ჩეზარისი | იტალია | ჯორდანი | — | — | — | — | 3 | 3 | 1 | — | 2 | | | | | | | | 9 |
| 10 | რობერტო მორენო | ბრაზილია | ბენეტონი | — | — | — | 3 | — | 2 | — | — | — | | | | | | | | 5 |

## იუგოსლავია

„ცრვენა ზვეზდა“ მეთვრამეტედ გახდა ჩემპიონი, ქვეყნის თასი კი სპლიტის „ჰაიდუკმა“ მოიპოვა, რომელმაც ფინალში „ცრვენა ზვეზდა“ დაამარცხა 1:0.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია დარკო პანჩევი („ცრვენა ზვეზდა“) — 34 გოლი.

მეორე ადგილზე გასულმა ზეგრების „დინამომ“ სახელი შეიცვალა — ამიერიდან გუნდს „ჰასკ გრაჯანსკი“ დაერქმევა.

იუგოსლავიის ჩემპიონატში ფრედ დამთავრებული მატჩების შემდეგ ინიშნება 11-მეტრიანები. პენალტების სერიაში გამარჯვებული იღებს 1 ქულას, დამარცხებული — 0. ფრჩხილებში ნაჩვენებია პენალტებით მოგებული შეხვედრების რაოდენობა.

1990-91 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ცრვენა ზვეზდა“ | 36 | 25 | 6(4) | 5 | 88-35 | 54 |
| „დინამო“ | 36 | 20 | 10(6) | 6 | 72-36 | 46 |
| „პარტიზანი“ | 36 | 18 | 8(5) | 10 | 62-36 | 41 |
| „ბორაცი“ | 36 | 14 | 11(7) | 11 | 42-38 | 35 |
| „პროლეტერი“ | 36 | 17 | 4(1) | 15 | 50-49 | 35 |
| „ჰაიდუკი“ | 36 | 15 | 9(3) | 12 | 49-38 | 33 |
| „ვოივოდინა“ | 36 | 14 | 9(5) | 13 | 47-52 | 33 |
| „რადი“ | 36 | 14 | 7(4) | 15 | 40-34 | 32 |
| „ოსიეკი“ | 36 | 14 | 5(4) | 17 | 52-56 | 32 |
| „რადნიჩკი“ | 36 | 14 | 5(4) | 17 | 35-49 | 32 |
| „სარაევო“ | 36 | 13 | 10(5) | 13 | 37-48 | 31 |
| „ველეჟი“ | 36 | 12 | 10(6) | 14 | 54-55 | 30 |
| „ზემუნი“ | 36 | 12 | 10(6) | 14 | 40-53 | 30 |
| „ოლიმპია“ | 36 | 14 | 3(2) | 19 | 41-60 | 30 |
| „რიეკა“ | 36 | 13 | 10(3) | 13 | 33-25 | 29 |
| „ჟელეზნიჩარი“ | 36 | 11 | 13(7) | 12 | 36-41 | 28 |
| „ბუდუჩნოსტი“ | 36 | 13 | 6(2) | 17 | 43-48 | 28 |
| „სლობოდა“ | 36 | 11 | 7(1) | 18 | 36-56 | 23 |
| „სპარტაკი“ | 36 | 1 | 10(2) | 25 | 25-74 | 4 |

## რუმინეთი

ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძირითადად ორ გუნდს — კრაიოვას „უნივერსიტატიასა“ და ბუქარესტის „სტიაუას“ შორის მიმდინარეობდა. საბოლოოდ ორივემ ქულების ერთნაირი რაოდენობა დააგროვა, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობის გამო ჩემპიონის ტიტული „უნივერსიტატიამ“ მოიპოვა. კრაიოვის გუნდისთვის ეს ჩემპიონის მეოთხე ტიტულია.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა ჰუნედოარას „კორვინულის“ ფეხბურთელი ჰანგანუ — 25 გოლი.

ალსანიშნავია, რომ რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით „კორვინულს“ გამოაკლდა 2 ქულა, ხოლო „ბიჰორს“ — 4 ქულა.

1990-91 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „უნი.“ (კრაიოვა) | 34 | 22 | 6 | 6 | 74-26 | 50 |
| „სტიაუა“ | 34 | 20 | 10 | 4 | 67-28 | 50 |
| „დინამო“ | 34 | 16 | 11 | 7 | 54-27 | 43 |
| „ინტერი“ | 34 | 18 | 2 | 14 | 56-46 | 38 |
| „გლორია“ | 34 | 15 | 7 | 12 | 51-38 | 37 |
| „პოლიტეჰნიკა“ | 34 | 14 | 7 | 13 | 45-45 | 35 |
| „პეტროლული“ | 34 | 15 | 5 | 14 | 48-49 | 35 |
| „არჯეში“ | 34 | 13 | 8 | 13 | 49-42 | 34 |
| „ბრაშოვი“ | 34 | 14 | 6 | 14 | 47-45 | 34 |
| „ფარული“ | 34 | 12 | 10 | 12 | 40-40 | 34 |
| „რაპიდი“ | 34 | 13 | 6 | 15 | 44-45 | 32 |
| „სპორტ. სტუდენცესკი“ | 34 | 10 | 12 | 12 | 45-53 | 32 |
| „პროგრესული“ | 34 | 13 | 5 | 16 | 33-49 | 31 |
| „კორვინული“ | 34 | 15 | 2 | 17 | 47-62 | 30 |
| „ბაკეუ“ | 34 | 11 | 7 | 16 | 32-42 | 29 |
| „ჟიული“ | 34 | 11 | 6 | 17 | 46-65 | 28 |
| „ბიჰორი“ | 34 | 7 | 8 | 19 | 40-75 | 18 |
| „უნი.“ (კლუჟი) | 34 | 5 | 6 | 23 | 26-67 | 14 |

## პოლონეთი

კლუბის ისტორიაში პირველად ჩემპიონის ტიტული ლუბინის „ზაგლემბემ“ მოიპოვა. კატოვიცეს გკს-ს, რომელშიც გია გურული თამაშობს, ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ პირველი ადგილი ეკავა, მაგრამ საბოლოოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა. სამაგიეროდ, გკს-მ პოლონეთის თასი მოიპოვა. ფინალში გკს-მ კრაკოვის „ვისლას“ მოუგო 1:0.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა ძუბინსკი („ვისლა“) — 21 გოლი.

1990-91 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზაგლემბე“ (ლუბინი) | 30 | 18 | 8 | 4 | 49-25 | 44 |
| „გურნიკი“ | 30 | 15 | 10 | 5 | 55-24 | 40 |
| „ვისლა“ | 30 | 13 | 14 | 3 | 52-26 | 40 |
| გკს | 30 | 16 | 7 | 7 | 38-26 | 39 |
| „ჰუტნიკი“ | 30 | 14 | 9 | 7 | 53-34 | 37 |
| „ლეხი“ | 30 | 10 | 13 | 7 | 48-28 | 33 |
| „შლონსკი“ | 30 | 12 | 9 | 9 | 41-37 | 33 |
| „ოლიმპია“ | 30 | 9 | 13 | 8 | 38-39 | 31 |
| „ლეგია“ | 30 | 8 | 12 | 10 | 24-24 | 28 |
| „მოტორი“ | 30 | 10 | 8 | 12 | 33-39 | 28 |
| ლკს | 30 | 11 | 6 | 13 | 25-36 | 28 |
| „იგლოოპოლი“ | 30 | 7 | 12 | 11 | 29-44 | 26 |
| „რუხი“ | 30 | 7 | 11 | 12 | 25-35 | 24 |
| „ზავიშა“ | 30 | 8 | 7 | 15 | 27-41 | 23 |
| „სტალი“ | 30 | 3 | 10 | 17 | 25-49 | 16 |
| „ზაგლემბე“ (სოსნოვ.) | 30 | 2 | 6 | 22 | 21-70 | 10 |

## ფეხბურთის რუკასთან

ინგლისის თასის მფლობელის „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ მწვრთნელად პიტერ შრივსი დაინიშნა. გუნდის ყოფილმა მწვრთნელმა ტერი ვენებლზმა კლუბის დირექტორის პოსტზე გადაინაცვლა.

იტალიის „რომა“ თასების მფლობელთა თასის მატჩს მოსკოვის ცსკა-სთან საკუთარ მოედანზე ჩაატარებს. უეფა-მ „რომას“ მოუხსნა სტადიონის ერთი თამაშით დისკვალიფიკაცია და სამაგიეროდ გადაახდევინა ჯარიმა 100 ათასი დოლარის ოდენობით. რომის ოლიმპიური სტადიონი დისკვალიფიცირებული იყო „ინტერთან“ უეფა-ს თასის ფინალის დროს მომხდარი ინციდენტების გამო.

ჰოლანდიის „დენ ბოსხის“ თხოვნა დააკმაყოფილა უეფა-ს სააპელაციო კომიტეტმა და გააუქმა ამ გუნდის სამწლიანი დისკვალიფიკაცია. კომიტეტის სხდომამ ძალაში დატოვა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც თასების თასზე ჰოლანდიას როტერდამის „ფეიენოორდი“ წარმოადგენს. „დენ ბოსხის“ დისკვალიფიკაცია განპირობებული იყო იმით, რომ გუნდმა სასამართლოში გაასაჩივრა ჰოლანდიის თასის ფინალის შედეგი — 1:0 „ფეიენოორდის“ სასარგებლოდ. თუმცა „დენ ბოსხმა“ მოიგო სასამართლოში საქმის გარჩევა (სასამართლომ ფინალის გადათამაშება დაადგინა), მაგრამ უეფა-მ გამოიყენა თავისი წესების ის მუხლი, რომლის მიხედვით კლუბებს აკრძალული აქვთ საფეხბურთო საქმეების სამოქალაქო სასამართლოებში გადაწყვეტა.

იუგოსლავიის ჩემპიონისა და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელის „ცრვენა ზვეზდას“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ჩემპიონთა თასის პირველი წრის მატჩი ჩრდილოეთ ირლანდიის „პორტადაუნთან“ უნგრეთის ქალაქ სეგედში ჩაატაროს. უეფა-მ „ბაიერნთან“ ნახევარფინალურ მატჩში მომხდარი უწესრიგობებისთვის დისკვალიფიკაცია მისცა „ცრვენა ზვეზდის“ სტადიონს. ქალაქი სეგედი, სადაც იუგოსლაველები „პორტადაუნს“ შეხვდებიან, უნგრეთ-იუგოსლავიის საზღვრიდან 15 კილომეტრით არის დაშორებული.

არგენტინელი ფეხბურთელები გაბრიელ ბატისტუტა და ლეონარდო როდრიგესი, რომლებიც თავისი ქვეყნის ნაკრებთან ერთად სამხრეთ ამერიკის ჩემპიონები გახდნენ, ახალი სეზონიდან ევროპის კლუბებში ითამაშებენ. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, თავდამსხმელი გაბრიელ ბატისტუტა იტალიის „ფიორენტინამ“ 4 მილიონ დოლარად შეიძინა „ბოკა ხუნიორსისგან“, ხოლო ნახევარმცველს ლეონარდო როდრიგესს საფრანგეთის „მარსელმა“ სამწლიანი ხელშეკრულება დაუდო.

საფრანგეთის „ბორდომ“ ჰოლანდიელი თავდამსხმელი ვიმ კიფტი 1,5 მილიონ დოლარად მიჰყიდა „ეინდჰოვენს“. კიფტმა ჰოლანდიის ჩემპიონთან სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

ქვეყნის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს ორი ტურის შემდეგ სათავეში უდგანან „მონაკო“ და „მეცი“, რომელთაც 4-4 ქულა აქვთ. „მონაკომ“ შინ დაამარცხა „ნანსი“ 4:1 (პასი-პენალტით, ვეა — 2, რუი ბარუში), ხოლო „მეცმა“ მოუგო „სოშოს“ 3:1. ქვეყნის ჩემპიონს „მარსელს“ 3 ქულა აქვს. მეორე ტურში „მარსელმა“ ფრედ (1:1) ითამაშა ლიონში. სხვა მატჩები: „პარი სენ-ჟერმენი“ — „ოსერი“ 1:1, „რენი“ — „ნანტი“ 0:1, „კანი“ — „მონპელიე“ 2:0, „ნიმი“ — „ტულუზა“ 2:2, „კაენი“ — „სენტ-ეტიენი“ 1:0, „ტულონი“ — „ლანი“ 0:1, „ლილი“ — „ლე ავრი“ 0:0.

ავსტრიის ჩემპიონატის ორი ტურის შემდეგ ლიდერობს ვენის „რაპიდი“ — 4 ქულა. მეორე ტურში მან მოუგო „შტურმს“ 1:0. ვიცე-ჩემპიონი „ტიროლი“ შინ დამარცხდა წინა ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერთან „ზანქტ-პოლტენთან“ 1:2.

## პანჩევის «ოქროს შემოდგომა»

ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირის პრიზი — „ოქროს ბუცი“ იუგოსლაველმა ფეხბურთელმა, ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ თავდამსხმელმა დარკო პანჩევმა მოიპოვა. პანჩევმა 34 გოლი გაიტანა. მეორე ადგილზეა სტამბოლის „გალათასარაის“ ფეხბურთელი თანჯუ ჩოლაქი — 31 გოლი. მესამე ადგილი გაიყვეს ჩეხოსლოვაკელმა ვაცლავ დანეკმა („ტიროლი“, ავსტრია) და ალბანელმა ლედიტ ბოზგომ („ტომორი“) — 29-29 გოლი. ალსანიშნავია, რომ ბოზგომ ალბანეთის ჩემპიონატის ბოლო მატჩში 6 ბურთი გაიტანა, რამაც მას საშუალება მისცა დასწეოდა დანეკს. ამ შეხვედრაში ბოზგოს გუნდმა „ტომორიმ“ მოუგო „ტრაქტორის“ 6:5.


## საქართველოს რესპუბლიკის ასოციაცია „ფალავნის“ დამოუკიდებელი უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის, შემდეგ სპეციალობებზე:

1. სპორტული ჟურნალისტი;
2. ტელე-რადიო ჟურნალისტი, კომენტატორი;
3. გიდი;
4. სპორტის მენეჯერი;
5. საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მენეჯერი;
6. საკურორტო და ტურისტული საქმიანობის მენეჯერი;
7. სამკურნალო ფიზკულტურა და რეაბილიტაცია;
8. სპორტულ-გამაჯანსაღებელ ობიექტებზე ტექნიკურ აღჭურვილობათა ექსპლუატაცია და რემონტი;
9. ძიუდო;
10. კარატე;
11. სამაშველო სამსახური;
12. ცხენოსნობის, სამთო და სანყალოსნო ტურიზმისა და ნადირობის ინსტრუქტორ-გამყოლი.

კონკურსზე დაიშვებიან საშუალო და საუშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები, ასაკის მუხედავად.

კონკურსი სპეციალობების მიხედვით მოეწყობა შემდეგ საგნებში:

ჟურნალისტიკის სპეციალობებზე და გიდებზე — ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და უცხო ენა;

მენეჯერების სპეციალობებზე — ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და უცხო ენა;

სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის სპეციალობაზე — ქართული ენა და ლიტერატურა, ბიოლოგია და ფიზიკა-მათემატიკა;

სპორტულ-გამაჯანსაღებელ ობიექტებზე ტექნიკური აღჭურვილობების ექსპლუატაცია და რემონტის სპეციალობაზე — ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ფიზიკა;

კარატეს, ძიუდოს, სამაშველო სამსახურის, ცხენოსნობის, სამთო და სანყალოსნო ტურიზმისა და ნადირობის ინსტრუქტორის სპეციალობებზე — ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და სპეციალობა.

სწავლების ხანგრძლივობა:

— სამკურნალო ფიზკულტურასა და რეაბილიტაციის, აგრეთვე სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ტექნიკურ აღჭურვილობათა ექსპლუატაციისა და რემონტის სპეციალობაზე — ხუთი წელი;

დანარჩენ ზემოთ ჩამოთვლილ სპეციალობებზე კი — ოთხი წელი.

უნივერსიტეტში სწავლა ფასიანია.

სწავლების ღირებულება წელიწადში შეადგენს:

— გიდის, აღმოსავლური ორთაბრძოლების (ძიუდო, კარატე), სამაშველო სამსახურის, ცხენოსნობის, სამთო და სანყალოსნო ტურიზმის, თევზაობისა და ნადირობის ინსტრუქტორის სპეციალობებზე — 4000 მანეთი.

— სპორტული ჟურნალისტის, ტელე-რადიო ჟურნალისტის, კომენტატორის, სპორტული მენეჯერის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობათა მენეჯერის, საკურორტო და ტურისტული საქმიანობების მენეჯერის, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ობიექტებზე ტექნიკურ აღჭურვილობათა ექსპლუატაციისა და რემონტის სპეციალობებზე — 5000 მანეთი.

— სამკურნალო ფიზკულტურა და რეაბილიტაციის სპეციალობაზე — 7000 მანეთი.

სწავლების ფრიადოსან სტუდენტებს, III კურსიდან, ასოციაციის ფონდიდან დაენიშნებათ სტიპენდია 150 მანეთის ოდენობით, ხოლო ბოლო კურსზე გათავისუფლდებიან სწავლების ქირის გადასახადისგან.

უნივერსიტეტში შეღავათებით მიიღებიან:

უფასო სწავლ..ბაზე — ა) განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული აბიტურიენტები;

ბ) სპორტისა და ტურიზმის ქვეკომისიის ან შესაბამისი სამინისტროს რეკომენდაციით შემოსული მაღალი კლასის აბიტურიენტ-სპორტსმენები.

სწავლის ქირის 50%-ის დაკლებით — ასოციაციის და მასში შემავალი ორგანიზაციების და უნყებების ნევრიაბიტურიენტი.

სწავლების საფასურის გადახდა შეიძლება ინდივიდუალურად, ნაღდი ანგარიშსწორებით ან საწარმოებისა და ორგანიზაციების და სხვა იურიდიული პირების მიერ გადარიცხვის წესით.

მაღალკვალიფიციური ეროვნული სპეციალისტების მომზადების მიზნით უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირი ექნება საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამისი პროფილის უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებთან.

განცხადებასთან ერთად საჭიროა წარმოდგენილი იქნეს შემდეგი საბუთები:

1. განათლების მოწმობა (დედანი);
2. ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა №086);
3. ფოტოსურათი (6 ცალი, ზომით 3X4);
4. პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა — პირადად.

განცხადების მიღება იწარმოებს 19 აგვისტოდან 30 აგვისტომდე, ყოველ დღე გარდა კვირისა, 10 საათიდან 17 საათამდე.

მისაღები კონკურსი ჩატარდება 5 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე.

სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ მიმღებ კომისიას.

მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №70 (თბილისის მანქანათმშენებლობის კოლეჯის შენობაში, 1 სართული).

ტელ. 95-46-65; 95-21-43.





## თუ კაცი მოინდომებს მიუწვდომელი არაფერია!

ჩვენი ინდექსია 66441

1 თვე — 1 მან. 73 კაპ. 3 თვე — 5 მან. 19 კაპ.
6 თვე — 10 მან. 32 კაპ. 12 თვე — 20 მან. 76 კაპ.

## გამოიწერეთ!


# სპრინტის დედოფლის ახალი კარიერა

სპრინტერულ დისტანციებზე სირბილში სეულის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონი, ამერიკელი ფლორენს გრიფით-ჯოინერი აპირებს დაიწყოს ახალი სპორტული კარიერა. ის პროფილის გამოცვლას და დიდ დისტანციებზე გამოსვლას ფიქრობს. როგორც მისმა მეუღლემ და მწვრთნელმა ელ ჯოინერმა განაცხადა, ფლო-ჯო (ოლიმპიური ჩემპიონს ასე უწოდებენ სპორტის მოყვარულები) რეგულარულად დარბის კვირაში 65 კილომეტრს და სრულიად მოსალოდნელია, რომ ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადაზე იგი სპრინტერულ დისტანციებზე გამოვა, თუმცა სპორტსმენის მთავარი მიზანია ატლანტაში 1996 წლის თამაშებზე ოლიმპიურ მარათონში მონაწილეობის მიღება.


ფლორენს გრიფით ჯოინერი

# ერთი დროშით მეტი

1992 წელს ალბერვილსა და ბარსელონაში, ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიადების გახსნის საზეიმო ცერემონიის დროს მონაწილე ქვეყნების დროშებს შორის იფრიალებს ერთი ალამი ცისფერ ფონზე თორმეტი ვარსკვლავის გამოსახულებით, მაგრამ ამ დროშას ექნება არა სპორტული, არამედ პოლიტიკური დანიშნულება.

დროშა ეკუთვნის ევროპის ეკონომიკურ საზოგადოებას. თორმეტი ვარსკვლავი ევროპის საერთო სახლის თორმეტი სახელმწიფოს სიმბოლოა. ამგვარად, საზოგადოების წევრი ყველა ქვეყანა ეროვნულ დროშასთან ერთად მასაც გამოიტანს. შესრულდება ევროპის ჰიმნიც.

ოფიციალურად ასეთი გადაწყვეტილება არ მიუღიათ, მაგრამ ეკონომიკური საზოგადოების იდეას მხარი დაუჭირეს ორივე ოლიმპიადის ორგანიზატორებმა. იგი მოიწონა სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმაც. თავის მხრივ, ევროპის ეკონომიკური საზოგადოება 1992 წლის ოლიმპიადების ორგანიზატორებს ჰპირდება მატერიალურ დახმარებას მილიონ 200 ათასი დოლარის რაოდენობით.

# გინების საფასური

ამერიკელ ჩოგბურთელს ჯონ მაკინროუს 1977 წლიდან მოყოლებული დიდი ტურნირებისას კორტებზე სკანდალური ქცევისთვის უკვე დაუგროვდა 70 ათასი დოლარის ჯარიმა. მას თითქმის ყოველ წელიწადს აჯარიმებდნენ, განსაკუთრებით მსაჯებთან კამათისა და მოწინააღმდეგეთა შეურაცხყოფისთვის. ყველაზე სოლიდური თანხით — 10 ათასი დოლარით — მაკინროუ დაჯარიმდა უიმბლდონის წლევანდელ ტურნირზე, სადაც მან ლანძღვა-გინების ნიაღვარი დაატეხა თავს გვერდით მსაჯს. ეს ინციდენტი დააფიქსირა ტელეკამერამ და მიკროფონებმა.



# მოდი გავიყოთ თანაბრად

იმ შემთხვევაში, თუ ევროპის ფეხბურთის კავშირი მხარს დაუჭერს ბელგიისა და ჰოლანდიის იდეას, მაშინ სპორტული სამყარო უპრეცენდენტო ფაქტის მოწმე გახდება. აქამდე მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები არასოდეს გამართულა ერთდროულად ორ ქვეყანაში. სწორედ ასეთი წინადადებით გამოვიდნენ ბელგია და ჰოლანდია. ამ სახელმწიფოების საფეხბურთო ფედერაციებმა უეფა-ს გაუგზავნეს ბერნის ბტაბ-ბინაში ერთობლივი წერილი. იმის თაობაზე, რომ ისინი მზად არიან ერთად უმასპინძლონ ევროპის 1996 წლის ჩემპიონატს ამ შემოდგომაზე, დათქმულ ვადებში წარადგენენ ოფიციალურ განაცხადს.

# აქეთური, იქითური...

მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ტრამპლინიდან [illegible] ხტომაში, გერმანელი [illegible] ზამთრის სეზონის შემდეგ უკვე მეორედ აღმოჩნდა საავადმყოფოში. ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო კლინიკაში მას მეორედ გაუკეთეს მარცხენა მუხლის ოპერაცია. როგორც გამოირკვა, მთელი შარშანდელი წელი სპორტსმენმა დაზიანებული ფეხით იარა და ტკივილს ნემსებით იყუჩებდა. „ოთხი ტრამპლინის ტურნეში" გამარჯვება იენსს დიდი ნებისყოფისა და მოთმინების ფასად დაუჯდა. ახლა მისი საქმე უკეთ არის. ცნობილი სპორტსმენი იმედს არ კარგავს, რომ 1992 წელს შეძლებს გამოსვლას ალბერვილის ოლიმპიურ თამაშებში.

■ ■ ■

როგორც ცნობილია, სამხრეთ აფრიკას სურს მონაწილეობა მიიღოს მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ტოკიოში გაიმართება. თუ მძლეოსნობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციამ მისი თხოვნა დააკმაყოფილა, მიმომხილველთა აზრით, ამ ქვეყნის გუნდისაგან სპორტის სამყარო სიურპრიზებს უნდა ელოდეს. განსაკუთრებით საინტერესო იქნება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალთა გამოსვლები. სამხრეთ აფრიკელები იმედს ამყარებენ არა მარტო 24 წლის ზოლა ბადპრიტერსზე, რომელიც ისევ დაუბრუნდა სპორტს. საშუალო და გრძელ დისტანციებზე გამარჯვების დიდი შანსი აქვს ელენა მეიერს, რომელმაც წლეულს ნახევრად მარათონულ დისტანციაზე (21,1 კმ) მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 67-59.

■ ■ ■

ამერიკელ ექიმს ჯორჯ ზაჭორნს შეიძლება 44 წლით პატიმრობა მიუსაჯონ და სამი მილიონი დოლარი ჯარიმა დააკისრონ. ზაჭორნს ბრალად ედება ის, რომ ანაბოლიკური საშუალებები მიჰყიდა კეტჩის ოთხ პროფესიონალ მოჭიდავეს და ერთ შტანგისტს, რომელთაც შემდეგ ამ წამლების გამოყენების ნებართვაც მისცა.

■ ■ ■

სპორტული მედიცინის პანამერიკული კონფედერაციის პრეზიდენტმა ედუარდო დე როსემ განაცხადა, რომ 1991 წლის რეგიონალურ თამაშებში ჰავანაში 900-ზე მეტი დოპინგ-ტესტი ჩატარდა. ეს ბევრად აღემატება 1983 წელს ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში (800) და 1987 წელს ამერიკის ქალაქ ინდიანაპოლისში (720) მსგავს შეჯიბრებებზე ჩატარებული ასეთივე ტესტების რაოდენობას.

■ ■ ■

ამერიკული ფეხბურთის მოთამაშე, მცველი დაგ უილიამსი, რომელსაც ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში ხერხემალი დაუზიანდა, თავისი კლუბის „ვაშინგტონ რედსკინისაგან" კომპენსაციად ერთ მილიონ დოლარს მიიღებს. ამისთვის სპორტსმენს სასამართლოს დახმარება დასჭირდა. სასამართლომ დაადასტურა, რომ მძიმე ტრავმა სპორტსმენმა პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს მიიღო და ამიტომ მისი სარჩელი დააკმაყოფილა.

■ ■ ■

XI პანამერიკულ თამაშებზე, რომელიც 1991 წლის აგვისტოს ბოლოს ჰავანაში გაიმართება, განაცხადი უკვე 4843 სპორტსმენს (3446 ვაჟი და 1397 ქალი) აქვს შეტანილი. შეჯიბრების ორგანიზატორთა მონაცემების მიხედვით ეს ციფრი დასავლეთის ნახევარსფეროში ჩატარებული უდიდესი კომპლექსური შეჯიბრებების ისტორიაში სარეკორდოა. თვლიან, რომ მონაწილეთა რიცხვი კვლავაც გაიზრდება, რადგან განაცხადთა შეტანის ვადა ჯერ არ გასულა.

აქეთური, იქითური...

# ნახევარსაუკუნოვანი საიდუმლო

ამერიკის შეერთებული შტატები ათლეტური კონგრესის მუშაობის ძირითადი თემა 1992 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება იყო, მაგრამ დღის წესრიგში შედიოდა კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ამ მთავარ თემასთან საერთო არაფერი ჰქონდა. 30-იან წლებში ამ საკითხზე ლამის ყოველდღე ლაპარაკობდნენ. ომის დამთავრების შემდეგ იგი მიივიწყეს, ახლა კი ხელახლა გაიხსენეს.

1980 წელს კლივლენდში ავტოსადგომზე ხნიელი ქალის გვამი იპოვეს. მიცვალებული აღმოჩნდა 69 წლის სტელა ჟოლში, რომლის სახელი ომამდელ წლებში მთელი მსოფლიოს მძლეოსნურ ბილიკებზე ქუხდა. მარტო აშშ-ის ჩემპიონატებში მან ორმოცჯერ იზეიმა გამარჯვება 50 იარდსა და 100 მეტრზე რბენაში.

აშშ-ის ფარგლებს გარეთ მას სტეფანია ვალასევიჩად იცნობდნენ. იგი პოლონეთში დაიბადა 1911 წელს. ხუთი წლის შემდეგ ოჯახი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა საცხოვრებლად. სტეფანიამ მხოლოდ 1947 წელს, 36 წლის ასაკში მიიღო ამერიკის მოქალაქეობა. მანამდე ოთხი წლით ადრე, მან ლოსანჯელოსის ოლიმპიადის ჩემპიონობა მოიპოვა 100 მეტრზე რბენაში და ქალთა შორის პირველმა გაირბინა ეს დისტანცია 12 წამზე ნაკლებ დროში — 11,9. 1936 წელს ბერლინის ოლიმპიადაზე ვასალევიჩს მეორე ადგილი ხვდა.

უკვე იმ წლებში სტეფანიას გარშემო დიდი მითქმა-მოთქმა იყო. ეჭვს პირველ ყოვლისა, სპორტსმენის გარეგნობა იწვევდა: სახის მამაკაცური ნაკვთები, მოუქნელი ფიგურა, ბარიტონი... მისი ფიზიკური მონაცემები ბევრად აღემატებოდა სუსტი სქესის სტანდარტებს.

— სტელა ქალს არაფრით ჰგავდა, მაგრამ მის სიკვდილამდე ამ ეჭვის შემოწმება შეუძლებელი იყო, — განაცხადა ათლეტური კონგრესის სხდომაზე 79 წლის როქსი ანდერსონმა, რომელიც 30-იან წლებში კანადელ სპორტსმენებს წვრთნიდა და თვითონაც იცავდა ამ ქვეყნის ღირსებას საერთაშორისო ტურნირებში.

საიდუმლოს ფარდა აეხადა მხოლოდ სტელა უოლშის სიკვდილის შემდეგ. კლივლენდის ხელისუფლებამ ექსპერტიზა ჩაატარა და, როგორც მიღებულია, გვამი გაკვეთეს. დადგინდა, რომ მასში მამაკაცური სქესობრივი ნიშნები სჭარბობდა ქალურს.

— იმედი მაქვს, ის ადამიანები, რომლებსაც მძლეოსნობის ბედი აბარიათ, ახლა მაინც მიიღებენ შესაბამის ზომებს. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ქალთა შეჯიბრებებში კაცები იმარჯვებდნენ, — თქვა როქსი ანდერსენმა. იგი მოითხოვს, რომ უოლშს ჩამოართვან 1934 წელს ბრუკლინში 50 იარდზე რბენაში მოპოვებული გამარჯვება. შევნიშნავთ, რომ ამ შეჯიბრებაში მეორე ადგილზე ანდერსონის მოწაფე გავიდა.

აშშ-ის ათლეტური კავშირი ჩიხში აღმოჩნდა. თუ ეს საქმე აღიძრა, მაშინ უოლშის ყველა მიღწევა უნდა გაუქმდეს, მათ შორის ოლიმპიადაზე გამარჯვება და მის მიერ დამყარებული მსოფლიო რეკორდიც... კონგრესის წევრთა აზრით, სჯობს ეს საკითხი განსახილველად გადასცეს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს.

ვინ იცის, იქნებ არცა ღირს წარსული ამბების ქექვა?


## „სარბიელის" სპონსორია ასოციაცია „ფალავანი"

PALAVANI • ПАЛАВАНИ
ფალავანი



გამოდის პარასკეობით
სარბიელი
ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380060, ცაგერის ქ. №6, ბ.30.
გაზეთ „სარბიელის" რედაქცია.
ტელეფონი: 38-39-98.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ქსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი.
კომერციული დირექტორი შოთა ჭულუხაძე.